დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მურთაზ კვირკვაია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. საქართველო

წევრები:

ნათია ჩიტაშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ანა მიხელიძე. კავკასიის უნივერსიტეტი. საქართველო

ნათია ჭიღვარია. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. საქართველო

დავითი ყიფიანი. დამოუკიდებელი კონსულტანტი. საქართველო

თბილისი
2019

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N 26, საქართველო, 0180
ვებ-გვერდი	www. newuni.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2013 წლის 10 ოქტომბერი, ბრძანება N 25
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2019 წლის 10 ოქტომბერი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[1]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	3
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	3
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	407	373	171
ბაკალავრიატი	407	373	171
მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	-	-	-

[1] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[2] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	-	-	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	131
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	57
- პროფესორი	16
- ასოცირებული პროფესორი	37[3]
- ასისტენტ პროფესორი	1
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	26
- აფილირებული პროფესორი	8
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	14
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	1
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	24[4]
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	30

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1831,17
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1273,22
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	557,95

[3] ასოცირებული პროფესორების რაოდენობასთან დაკავშირებით იხ. მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.

[4] სულ დაწესებულებას ჰყავს 44 მოწვეული პერსონალი, თუმცა მათგან ამჟამად პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 24.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, #1157 ბრძანების (31.12. 2018) თანახმად. უმაღლესი სასწავლებელის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა სასწავლო დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უზრუნველყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნებიდან გამომდინარე, მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. (კერძოდ, ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა დამატებით წარმოადგინა (წერილი #32, 17.01.2019) შემდეგი დოკუმენტაცია და მასალები: ხელშეკრულება ლიფტის დამონტაჟების შესხებ, აუდიტორიების შესასვლელებში ბრალის შრიფრტით დამზადებული მინიშნებების, შენობის მინდებარედ შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის ავტოსადგომების არსებობის დამადასტურებელი ფოტომასალა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება). დამატებთი დოკუმენტაცია დაკავშირებული იყო მეშვიდე, მეოთხე და მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებასთან.

ავტორიზაციის მონიტორინგის ჯგუფმა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება მოახდინა მოქმედი სტანდარტების მიხედვით. ამასთან შეისწავლა წინა მონიტორინგის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხედრაზე ავტორიზაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეთანხმდენ თუ დღეს მოქმედ ავტორიზაციის რომელ სტანდარტს შეესაბამებოდა წინა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, დანარჩენ დღეს მოქმედ სტანდატრებთან შესაბამისობის შეფასებასთან ერთად, მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მეოთხე და მეშვიდე სტანდარტზე, რომლებიც მოიცავდნენ წინა ავტორიზაციის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შინაარსს.

ავტორიზაციის მონიტორინგის პროცესი წარიმართა ჯგუფის წევრებს შორის მუდმივი კომუნიკაციის და მოსაზრებების ურთიერთგაცვლის საფუძველზე. შეფასების პროცესი წარიმართა კოორდინირებულად ჯგუფის წევრების მიერ წინასწარ დაგეგმილი ეტაპების მიხედვით. შეფასების პროცესის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის სტანდარტებტან შესაბამისობის ჯგუფის წევრებს შორის შეთანხმებული საერთო დასკვნის ჩამოყალიბება.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 04.04.2017

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 2016 წლის იანვარი

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის #2 ოქმში (20.01.2016), სადაც ერთ- ერთ საკითხად განხილული იყო შპს ახალ უმაღლეს სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, გადმოცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „მეოთხე სართულზე ასვლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ძნელი იქნებოდა და რეკომენდაცია გაუწია დაწესებულების წარმომადგენელს, ლიფტი დაემონტაჟებინათ“. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით აღნიშნული რეკომენდაცია უშვალოდ შეესაბამება მე-7 სტანდარტის (მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები) 7.1 კომპონენტს (მატერიალური რესურსი)	აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა წარმოდგინა ხელშეკრულება, რომელიც თარიღდება 2018 წლის 19 ოქტომბრით და ითვალისწინებს ორივე შენობისთვის ლიფტების შეძენას და დამონტჟებას. აღნიშნულის გარდა უნივერსიტეტმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ხელშეწყობის სხვა აქტივობები (იხ. შემდეგი რეკომენდაციის შესრულების შესახებ ავტორიზაციის მონიტორინგის ჯგუფის მოსაზრება). წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით მონიტორინგის ჯგუფი ადასტურებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ხელშეწყობის მიზნით ლიფტის დამონტაჟებასთან დაკავშირებით გაცემული, რეკომენდაციების შესრულების ფაქტს.
„მოზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებამ იზრუნოს სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესებაზე“ (შპს- ახალი უმაღლესი სასწავლებლისათვის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი #3. 07.04.2017). უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით აღნიშნული რეკომენდაცია უშუალოდ შეესაბამება მე-7 სტანდარტის (მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები) 7.1 კომპონენტს (მატერიალური რესურსი)	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ახალმა უმაღლეს სასწავლებელში სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობისათვის გაზრდის მიზნით ორივე სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განლაგდა სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერული ცენტრი. პირველ სართულზე განლაგდა აგრეთვე სასწავლებლის სასწავლო და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო და სათანადოდ მოეწყო ავტომანქანის სადგომი. დამატებით აუდიტორიები დაინომრა ბრაილის შრიფტის გამოყენებით. ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით (იგულისხმება აუს მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაც თანდართული ფოტოებით (წერილი #32, 17.01.2019)) მონიტორინგის ჯგუფი ადასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური საჭიროებების მქონე

	სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესებაზე გაცემული რეკომენდაციის შესრულების ფაქტს.
სასწავლებელმა არსებული შრომითი კონტრაქტები (აკადემიური, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან) დახვეწოს და მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში შრომის კოდექსთან. (შპს- ახალი უმაღლესი სასწავლებლისათვის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი #3. 07.04.2017). უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით აღნიშნული რეკომენდაცია შეესაბამება მე-4 სტანდარტის (უსდ-ის პერსონალი) 4.1 (პერსონალის მართვა) და 4.2 (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა) კომპონენტებთან.	წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ავტორიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ადასტურებს შრომითი კონტაქტების შრომის კოდექსთან შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულებას, თუმცა ასევე მიიჩნევს, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალის მართვის სხვა ასპექტები მოითხოვს გარკვეულ გაუმჯობესებას (იხ. მეოთხე სტანდარტის 4.1 და 4.2. კომპონენტების შესახებ ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და რჩევები)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერთა ჯგუფის მიერ შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით. ექსპერტთა ჯუფი მიიჩნევს, რომ წინა მონიტორინგის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები ახალი უმაღლესი სასწავლებლს შესრულებული აქვს. ავტორიზაციის ამჟამად მოქმედ 7 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ახალი უმაღლესი სასწავლებლი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ორი სტანდარტის მიხედვით (1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება; 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები), მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ოთხ სტანდარტთან მიმართებით (3. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; 3.საგანმანათლებლო პროგრამები; 4. უსდ-ის პერსონალი; 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები) და ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ერთი სტანდარტის მიხედვით (6.კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა).

რეკომენდაციები

- განხორციელდეს სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ქვემიზნების (2.3.2; 3.1.6, 2.2.3, 2.3.3; 2.2.2) შესაბამისი აქტივობების უფრო მეტად დაკონკრეტება, რომ გეგმიდან ნათლად ჩანდეს რის გაკეთებას აპირებს უმაღლესი სასწავლებელი კონკრეტული ქვემიზნების მისაღწევად.
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული მიზნების და ქვემიზნების მისაღწევად უნდა დაიწყოს და დააჩქაროს აკადემიური კორპუსის/პერსონალის გაზრდის (გაძლიერების) მიზნით საჭირო კადრების მოზიდვა

- .ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გააუმჯობესოს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყობს სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში უნდა ასახოს კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით.
- პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და განახლების მეთოდოლოგია უნდა გაუმჯობედეს, განსაკუთრებით პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მიმართულებით.
- რეკომენდირებულია გარე დაინტერესებული მხარეების მეტად ინტენსიური მონაწილეობა პროგრამების შემუშავებაში და განახლების პროცესში.
- შემუშავდეს დოკუმენტი პროგრამების განსაზღვრულ ვადაში დასრულების და განთესვის მონიტორინგის შესახებ.
- უნდა შეიქმნას უფრო დეტალური მეთოდოლოგიის დოკუმენტი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.
- რეკომენდირებულია თითოეულ საგანში არსებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ინდივიდუალური იყოს, რომ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები გააუმჯობესოს. გარდა ამისა შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ცალკეული კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, რაც აკადემიურ პერსონალსაც ეხმარება სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში.
- განხორციელდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, როგორც სტილისტური, ასევე პროცედურების და წესების შინაარსის, დაგეგმილი ეტაპებისა და სამუშაოებთა, აგრეთვე სტრუქტურის გადახედვა და გაუმჯობესება, აგრეთვე ადამიანური მართვის საკითხებში ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება.
- განხორციელდეს ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის სტრუქტურისა და შინაარსის ძირეულ გადახედვა და გაუმჯობესება.
- განხორციელდეს სამუშაო აღწერილობის დაფუძნებული ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულების ფორმის გადახედვა და გაუმჯობესება.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სისტემის ფარგლებში განისაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური დატვირთვის ზღვრული მაჩვენებელი და შემუშავდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემის შემუშავების, მონიტორინგისა და გადაჭარბებაზე რეაგირების პროცედურები.
- გადაიხედოს და გაუმჯობესდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი.
- სასწავლებელმა სტუნდეტთა ინფორმირებულობის ზრდისა და მათი წახალისების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად საჭიროა შიდა რეგულაციის სახით შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური აქტივობის შეფასებისა და წახალისების კრიტერიუმები და სასტიპენდიო დაფინანსების მინიჭების წესი.
- სასწავლებელმა უზრუნველყოს სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით აკადემიურ პროგრამებში.
- გადაიხედოს სტუდენტებისსთვის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის შეჩერების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტების კონკურსის შესახებ პირობების საჯაროობა;
- შეიმუშაოს ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით უცხოურ კვლევით ცენტრებთან და საქართველოს უსდ-ების თანამშრომლობის პოლიტიკა და პროცედურები.
- უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩაბმა კვლევით პროექტებში კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად.

- გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების/ჩართულობის მასშტაბი და პერიოდულობა სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევის უნარების განმავითარებელ ღონისძიებებში.
- დანერგოს პლაგიატის პრევენციის პროგრამა კვლევების კეთილსინდისიერად და აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვის უზრუნველსაყოფად.
- *კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით იზრუნოს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციების google scholar-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებაზე და სამომავლოდ შექმნას პირობები პერიოდული გამოცემის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვის მიზნით.
- უზრუნველყოს სტატიების საკონკურსო პირობების, ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნების მიმართ დადგენილი მოთხოვნების (შინაარსობრივი, ეთიკური), რეცენზირების პროცედურის, ავტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპების საჯაროდ გამოქვეყნება სტატიების მიღების გამოცხადებისთანავე.
- სამეცნიერო ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვისათვის სათანადო პირობების მომზადების მიზნით, ხელი შეუწყოს სამეცნიერო ჟურნალში ქართველი ავტორების პუბლიკაციებში დასავლეთევროპულ ენებზე არსებული უახლესი ლიტერატურის ციტირების მაჩვენებელის ზრდას, რათა ქართულენოვან და რუსულენოვან წყაროებთან ერთად პროფესორები ციტირებდნენ ჟურნალის პროფილურ დარგებში გამოცემულ უახლეს დასავლეთევროპულ ენაზე ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურას.
- სასწავლებელმა უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც შიდა საგრანტო დაფინანსების მინიჭების ერთგვაროვან კრიტერიუმებსა და კონკურსის საჯაროობის პრინციპებზე იქნება დამყარებული.
- სასწავლებელში არსებულმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა, ახალგაზრდა მეცნიერთა ტექნიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერა შიდა ან/და გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით სამეცნიერო პროექტების შემუშავების, მათ შესახებ ინფორმაციის აკუმულირებისა და გავრცელების მიმართულებით.
- უზრუნველყოს სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთგვაროვანი კრიტერიუმების და წახალისების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება შეფასების ინდიკატორებისა და წახალისების ფორმების მარეგულირებელი ერთგვაროვანი აქტის მიღებით.
- განხორციელდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესის გადახედვა და გაუმჯობესება, შემუშავდეს ამ წესში არსებული პოლიტიკის შესაბამისი პროცედურები.
- შემუშავდეს სასწავლებლის ბიუჯეტის ახალი სტრუქტურა და შემუშავების პროცედურები.

რჩევები

- სამოქმედო გეგმაში ხსენებული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, ზოგიერთ სილაბუსში, მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე, სავალდებულო ლიტერატურა მწირია და ნაკლებად თანამედროვე, უნდა გადაიხედოს.
- შიდა შეფასებისთვის შედგენილი კითხვარები უნდა დაიხვეწოს პროგრამების უკეთ შეფასებისთვის, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.
- სასწავლო მასალა ზოგიერთ სილაბუსში გასაუმჯობესებელია.
- სასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს ღონისძიებებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის, რაც შეიძლება იყოს ტრენინგი ეფექტიან სწავლებაში, სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ეფექტიანი კომუნიკაცია, საერთაშორისო/კვლევითი პროექტების მენეჯმენტი და აშ
- პროგრამების აღწერილობას თან ახლავს 7 დანართი. ყველგან მეორდება სწავლის შედეგების აღწერილობა, სასურველია პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში იყოს ინტეგრირებული ის დოკუმენტები რაც ერთგვერდიანი დანართების სახით არის წარმოდგენილი

• სტუდენტს ჰქონდეს საშუალება ელექტრონული მართვის ბაზის საშუალებით გაასაჩივროს შეფასება.
• ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტაცია უნდა ეყრდნობოდეს დემინგის ციკლს (Plan-Do-Check-Act, PDCA), ხოლო არსებული და ახალი პროცედურების/წესების ეფექტიანებისა და ერთგვაროვნების მიზნით სასწავლებლის მიერ შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი იქნეს პროცედურების/წესის ერთიანი სტრუქტურისა და სტილის აღმწერი მარეგულირებელი დოკუმენტი.
• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით აყვანის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პერსონალის ადაპტაციის, უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების სასწავლებლის შიგნით დასაქმებისა და სტაჟირების პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები.
• ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავდეს და დაინერგოს სასწავლებლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, უფლება-მოვალეობებზე, სამუშაოს სპეციფიკაზე და მის მოცულობაზე დაფუძნებული თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი და სამუშაო აღწერილობაში დაფიქსირდეს მისი შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა.
• სასურველია მაგრამ არააუცილებელი, რათა მოხდეს სასწავლებლის შინაგანაწესის, აფილირების წესის, აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემისა და სასწავლებლის შინაგანაწესი შერწყმა.
• სასურველი იქნება ჩამოყალიბებდეს სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო.
• სასურველია ფაკულტეტის საბჭოს წევრების, მათ შორის წევრი სტუდენტების სია ხელმისაწვდომი იყოს სასწავლებლის ვებ-გვერდზე.
• დაადგინოს სამეცნიერო ნაშრომის, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცედურის მომწესრიგებელი შიდა აქტი.
• ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სასწავლებელმა სისტემატურად გამოიყენოს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.
• სასურველია სასწავლებელმა დააწესოს ტრენინგის ან სემინარის ფორმატის შეხვედრა, რათა გაზარდოს საერთაშორისო ბაზების და ზოგადად ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის გამოყენების შესახებ ინფორმირებულობა.
• სასურველია უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ქართულ ენაზე არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზეც (მაგალითად აბიტურიენტებისთვის ინფორმაცია, პროგრამების კატალოგი და ა.შ.)
• სასურველია საბიბლიოთეკო სერვისების განახლება და გაუმჯობესება უფრო პრაქტიკული იყოს და არა თეორიული, საჭიროა წიგნის მოძიების შესახებ პროცედურის დეტალური აღწერა, საინტერესოა როგორ ხდება შეფასება და რა სიხშირით ხდება წიგნადი ფონდის განახლება.
• საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესების და განვითარების დინამიკა მკაფიოდ უნდა ჩანდეს.
• დაფინასების სისტემა ძალზედ დამოკიდებულია სტუდენტების შენატანებზე, ამიტომ ფინანსური სტაბილურების გაზრდის მიზნით სასწავლებელმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო გრანტის მფლობელ სტუდენტური კონტინგენტის მოზიდვაზე და შენარჩუნებაზე.
• სასურველია, რომ განხორციელდეს ფინანსური დეცენტრალიზაცია. საწვალებლის ბიუჯეტის ფორმირება მოხდეს პროგრამული სახით, სადაც ყველა საქმიანობა იქნება გაფორმებული როგორც დამოუკიდებელი პროგრამა თავსის ფინანსებით, მიზნებით, და შეფასების კრიტერიუმებით.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მურთაზ კვირკვაია (თავმჯდომარე)

2. ანა მიხელიძე (წევრი)

3. დავით ყიფიანი (წევრი)

4. ნათია ჩიტაშვილი (წევრი)



5. ნათია ჭიღვარია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ახალ უმაღლეს სასწავლებელ შემუშავებული აქვს მისია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, სტუდენტის მიერ შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, დემოკრატიული ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მოამზადებას. ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისიაში საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი მახასიათებლები და ასახული მისი როლი საგანმანათლებლო სივრცეში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. წარმოდგენილ დოკუმენტებში ფორმულირებულია უსდ-ს ხედვა, ღირებულებები და მიზნები. უნივერისტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებების და მიზნების ამსახველი დოკუმენტი განთავსებულია უმაღლესი სასწავლებლის ვებგვერდზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შიძლება ითქვას, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისია გამოყენებულია როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების ჩამოყალიბების საფუძველი. ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უმაღლესი სასწავლებლის მისიის შესახებ აღნიშნულია, რომ „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები, შემუშავებულ იქნა დაწესებულების ფართო საზოგადოებრიობისა და აკადემიური პერსონალის ერთობლივი მუშაობის შედეგად.

წინა მონიტორინგის დროს, რომელიც განხორციელდა 2016 წელს, ექსპერტთა ჯგუფის და ავტორიზაციის საბჭოს მიერ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მისიასთან დაკავშირებულ კომპონენტში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული. ასევე, ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის სტუდენთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ 2017 წელს ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში (ახალ უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა ადგილების რაოდნობა გაეზარდა) და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში უსდ-ის მისიასთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები არ ფიქსირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ის მისია, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გადმოცემულია წარმოდგენილ დოკუმენტებში (სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ცალკე დოკუმენტი სადაც გადმოცემულია უნივერსიტეტის მისია.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს 2018-2024 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა ასახავს, როგორც სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, ასევე იმ ღონისძიებებს და მოქმედებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამავე დოკუმენტში გადმოცემულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი. სამწლიან სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები. ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა მოიცავს უსდ-ს ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს. სტარატეგიული განვითარების გეგმაში აღნიშნულია, თუ რომელი დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდნენ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით ახალ უმაღლეს სასწავლებელ განხორციელებული აქვს

კონკრეტული აქტივობები, რომელის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს ცალკე დოკუმენტის (საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები) სახით.

წარმოდგენილ სამწლიან სამოქმედო გეგმაში რიგ შემთხვევებში არ არის დაკონკრეტებული რა აქტივობების განხორციელება იგეგმება კონკრეტული ქვემიზნის მისაღწევად. მაგალითად, ქვემიზანი 2.3.2 - სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა/წახალისება, მოიცავს აქტივობას - აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა, რომელიც ზოგადია და არ იძლევა წარმოდგენას რა უნდა განხორციელდეს ამ აქტივობის ფარგლებში. გარდა ამისა, არნიშნული აქტივობა უნდა განხორციელდეს 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში და ასევე არ ჩანს რაზე უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი 3000 ლარი. ასევე, ბუნდოვანია შესრულების ინდიკატორიც, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად - განხორციელებული აქტივობები. ანალოგიურად დაკონკრეტებას საჭიროებს 3.1.6, 2.2.3, 2.3.3 და სხვა ქვემიზანები. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია განხორციელდეს სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ქვემიზნების შესაბამისი აქტივობების უფრო მეტად დაკონკრეტება.

მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტრატეგიულ გეგმაში მოყვანილი ქვემიზნები რიგ შემთხვევაშია არის ისეთი საქმიანობები რაც თავისი შინაარსით არ შეიძლება იყოს სტრატეგიული გემით განსაზღვრული საქმინობა. მაგალითად ქვემიზანი 2.2.2-ს მიხედვით სასწავლებელი იღებს ვალდებულებას, რომ 3 წლის მანძილზე ყოველ სემესტრში განახორციელებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებასა (ლექციებზე ურთიერთდასწრება, პერიოდული თვითშეფასება, გამოკითხვები) და შედეგების ანალიზს, რასაც სასწავლებელი ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში ისედაც უნდა ახორციელებდეს.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ SWOT ანალიზის შემუშავების პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფი ასევე სასწავლებლის თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული, რათა ზუსტად მომხდარიყო სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესწავლა. დოკუმენტის SWOT ანალიზის ნაწილში ბუნდოვანია რამდენად თავსებადია ის ფაქტი, რომ ძლიერ მხარედ დასახელებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანობაში ეფექტურობის უზრუნველსაყოფად“, ხოლო სუსტი მხარეების ჩამონათვალში „ელექტრონული რესურსების ეფექტური გამოყენება დაწესებულების მართვაში“.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის განვითარების განვითარების შვიდწლიანი სტრატეგია ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას და ამოქმედებას, სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას, კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი უმაღლესი სასწავლებლის (კოლეჯის) - სასწავლებლის სასწავლო უნივერსიტეტად გარდაქმნას (ქვემიზანი 1.3.6) და ა.შ. რაც თავისთავად მოითხოვს ადეკვატური ადამიანური რესურსების არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ერთ-ერთი ქვემიზანი (ქვემიზანი 2.2.4) არის აკადემიური კორპუსის/პერსონალის გაძლიერების მიზნით საჭირო კადრების მოზიდვა, სამწლიან სამოქმედო გეგმაში აღნიშნული ქვემიზანი საერთოდ არ არის ასახული და სამი წლის განმავლობაში არც ერთი აქტივობა არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული მიზნების და ქვემიზნების მისაღწევად უნდა დაიწყოს და დააჩქაროს აკადემიური კორპუსის/პერსონალის გაზრდის (გაძლიერების) მიზნით საჭირო კადრების მოზიდვა.

წინა მონიტორინგის დროს, რომელიც განხორციელდა 2016 წელს, ექსპერტთა ჯგუფის და ავტორიზაციის საბჭოს მიერ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებულ კომპონენტში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი);

- სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული ქვემიზნების (2.3.2; 3.1.6, 2.2.3; 2.2.2) ქვემიზნები) შესაბამისი აქტივობების უფრო მეტად დაკონკრეტება, რომ გეგმიდან ნათლად ჩანდეს რის გაკეტებას აპირებს უმაღლესი სასწავლებელი კონკრეტული ქვემიზნების მისაღწევად.
- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული მიზნების და ქვემიზნების მისაღწევად უნდა დაიწყოს და დააჩქაროს აკადემიური კორპუსის/პერსონალის გაზრდის (გაძლიერების) მიზნით საჭირო კადრების მოზიდვა.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალ უმაღლეს სასწავლებელს ჩამოყალიბებული აქვს და ფუნქციონირებს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. უმაღლესი სასწავლებლის

მართვის უმაღლესი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომელიც არის ახალი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლობითი ორგანო და რომლის შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოს მიერ. აკადემიურ საბჭოში აირჩევა მხოლოდ სასწავლებლის პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს აკადემიურ საბჭოში არჩევის წესი. ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულებია: ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური, საფინანსო სამსახური, სამეურნეო-ტექნიკური რესურსების სამსახური, კანცელარია, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, უწყვეტი განათლების ცენტრი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ახალ უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს ერთი ფაკულტეტი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი. ფაკულტეტის მართვა ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა წარმომადგენლები. ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს მართველობითი ორგანოების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ასევე ცალკეული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი სხვადასხვა თანმდებობების მიხედვით სამუშაოს აღწერილობები. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით გამიჯნულია სხადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის კონკრეტული ასპექტები. სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგებიდან შეიძლება ითქვას, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი ეფექტურად იმართება. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებიდან შეუძლებელია შეფასდეს თუ რა მასშტაბით არის გამოყენებული მართველობით საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა თვითონ დაწესებულების მიერ ელექტრონული რესურსების ეფექტური გამოყენება მართვაში საკუთარ (სასწავლებლის) სუსტ მხარედ არის შეფასებული.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამსახურის დებულება. გარდა ამისა, უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგადი დოკუმენტი. ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების კუთხით უნივერსიტეტს სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს რიგი აქტივობები (ქვემიზნები 2.3.1; 2.3.3; 2.3.4; 2.3.6). თუმცა ინტერნაციონალიზაციის კუთხით წინა წლებში განხორციელებული აქტივობის შესახებ სასწავლებლი მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა იძლევა შემდეგი მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს: უცხოელი პარტნიორების რაოდენობა რომლებთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს ძალიან მცირეა; არ განხორციელებულა ერთობლივი კვლევითი პროექტები; მცირეა ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები; სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია; უცხოელი პროფესორების რაოდენობა რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან (ატარებენ ლექციებს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ან მონაწილეებენ ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში) ძალიან შეზღუდულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გააუმჯობესოს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოს სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას.

წინა მონიტორინგის დროს, რომელიც განხორციელდა 2016 წელს, ექსპერტთა ჯგუფის და ავტორიზაციის საბჭოს მიერ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და მართვასთან დაკავშირებულ კომპონენტში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის დებულება • ახალი უმაღლესი სასწავლებლის წესდება • ახალი უმაღლესი სასწავლებლის მართვის სტრუქტურა • საქმის წარმოების ერთიანი წესი • აკადემიური საბჭოს დებულება • ფაკულტეტის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა
რეკომენდაციები: • ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გააუმჯობესოს სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოს სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების და პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლების გაზრდას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულების საქმიანობის შეფასების და განვითარების უზრუნველყობის მიზნით ახალ უმაღლეს სასწავლებელში ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. ასევე, სასწავლებელს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები (დოკუმენტის სახელწოდება: შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები. 2018) სადაც გადმოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროინციპები, ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმებსა და პროცედურებს. ამავე დოკუმენტს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასებისა და განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად, თანდართული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების, განვითარების პოლიტიკა და დამტკიცების პროცედურა (დანართი 1), საგანმანათლებლო პროგრამების (დანართი 2), სასწავლო გეგმისა (დანართი3) და სასწავლო კურსების სილაბუსების (დანართი 4) სარეკომენდაციო ფორმები; სასწავლო კურსების სილაბუსებისა (დანართი 5) და საგანმანათლებლო პროგრამების (დანართი 6) შევსების ინსტსრუქცია, საგანმანათლებლო პროგრამის (დანართი 7) და სასწავლო კურსის სილაბუსის (დანართი 8) შეფასების ფორმები, პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის და შეფასების ფორმები.

ახალ უმაღლეს სასწავლებელს განხორციელებული აქვს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვა, გაანალიზებული აქვს განხორციელებული კვლევის შედეგები და წარმოდგენილ დოკუმენტში გადმოცემული აქვს რა მიმართულებით განხორციელდა კვლევის შედეგების გამოყენება (იხ.დოკუმენტები: 1. სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მისი გამოყენება; 2. ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასება ხდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის საფუძველზე. ახალი უმაღლესი სასწავლებელი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის ბევრი ასპექტის გაუმჯობესებას (სტრატეგიული მიზანი 2.5 - ხარისხის უზრუნველყოფა), მათ, შორის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფა (ქვემიზანი 2.5.10 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფა). სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ზემოთ აღნიშნული მიზნის და შესაბამისი ქვემიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები. თუმცა, არც სტრატეგიული განვითარების გეგმაში და არც სამოქმედო გეგმაში არ ჩანს, კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელება იგეგმება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში უნდა ასახოს კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით.

აუს-ს მიმდინარე ძირითადი პროცესების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო რისკებს და მათი შემცირების საშუალებებს. აღნიშნული გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნეს-პროცესების შეუფერხებლად განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები (ძირითადი და დამხმარე), რისკის კატეგორიები, შემთხვევების ალბათობა, პრევენციის ღონისძიებები და ა.შ.

ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი, რომელშიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს/სპეციფიკა, სასწავლებლის ადამიანური რესურსი, სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო რესურსი, შრომის ბაზრის კვლევების შედეგები და ანალიზი, საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის აქტუალობა. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გადმოცემულია სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლი სამიზნე ნიშნულები.

წინა მონიტორინგის დროს, რომელიც განხორციელდა 2016 წელს, ექსპერტთა ჯგუფის და ავტორიზაციის საბჭოს მიერ, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან დაკავშირებულ კომპონენტში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული. ასევე, ახალი უმაღლესი სასწავლებლისთვის სტუდენთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ 2017 წელს ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში (ახალ უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა ადგილების რაოდნობა გაეზარდა) და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან დაკავშირებით რეკომენდაციები და რჩევები არ ფიქსირდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები. 2018
- შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი
- სტუდენტთა/კურსდამტავრებულთა/დასაქმებულთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მისი გამოყენება
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში უნდა ასახოს კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას გეგმავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი. კოდექსის მოქმედება ვრცელდება აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, ამასთან სტუდენტთან დაკავშირებული საკითხები, უფრო კონკრეტულად მოცემულია სტუდენტის ეთიკის კოდექსში. პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პერსონალი და სტუდენტები ინფორმირებულია არსებულ ეთიკის კოდექსზე. ორივე დოკუმენტი, ეთიკის კოდექსი

აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალისთვის და ეთიკის კოდექსი სტუდენტებისთვის განთავსებულია ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველ დაინტერესებული მხარისთვის.

პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება რეაგირებს ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევის ფაქტებზე (გამოკითხული პერსონალის 96,67 %. გამოკითხული სტუდენტების 96.0%). აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უსდ-ს მხრიდან ხდება ეთიკისა და კეთილსინდისირების პრინციპების დაცვა.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ამჟამად არ აქვს პლაგიატის პრევენციის სპეციალური პროგრამა. თუმცა, ახალი უმაღლესი სასწავლებლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია პლაგიატთან ბრძოლის ახალი მექანიზმების შემუშავება (ქვემიზანი 1.4.2 - პლაგიატთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავება, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით). აღნიშნული ქვემიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელ ერთეულებად სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმაში „პლაგიატის პრევენციის და დეტექციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება/დანერგვა“ უნდა დაწყებულიყო 2018 წლის გაზაფხულის სემესტრში, თუმცა დოკუმენტებიდან არ ჩანს ახალ უმაღლეს სასწავლებელში დაწყებულია თუ არა „პლაგიატის პრევენციის და დეტექციის ეფექტური მექანიზმების შემუშავება/დანერგვა“.

ახალ უმაღლეს სასწავლებელს მარეგულირებელ დოკუმენტებში დეკლარირებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა. ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებით ვლინდება, რომ ახალ უმაღლეს სასწავლებელში დაცულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები.

წინა მონიტორინგის დროს, რომელიც განხორციელდა 2016 წელს, ექსპერტთა ჯგუფის და ავტორიზაციის საბჭოს მიერ, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებულ კომპონენტში რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეთიკის კოდექსი
- სტუდენტის ეტიკის კოდექსი
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის შინაგანაწესი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი)
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- დანერგოს პლაგიატის პრევენციის პროგრამა კვლევების კეთილსინდისიერად და აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლებელი პროგრამების შექმნის დროს ხელმძღვანელობს ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებით და საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობით. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განვითარება ეყრდნობა დოკუმენტს: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა“. დოკუმენტში აღნიშნულია რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ გარე დაინტერესებული მხარეები, გაფორმებულია მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებლებთან, თუმცა დოკუმენტურ დონეზე არ ჩანს, რამდენად აქტიურად არიან ჩართული პროგრამების შემუშვების პროცესში დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. სასწავლებელს გააზრებული აქვს რომ მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა ჩართულობის ზრდა სასწავლო პროგრამების სრულყოფაში. რაც ასახულია დოკუმენტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა“ მე-13 მუხლში, და გამოკითხვის შედეგების გამოყენების ანგარიშში დოკომენტი: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში. სასწავლებელს წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დამსაქმებლების მიერ, რათა კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ ის უნარ-ჩვევები, რაც სჭირდებათ კონკრეტულ პოზიციაზე დასასაქმებლად. დამსაქმებლის მიერ პროგრამების შეფასებაში აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებულებს უმნიშვნელო გადამზადება დასჭირდათ საჭირო უნარების შესაძენად. ამავე ნაწილში იგეგმება პროგრამის განვითარების პროცესში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების მხრიდან მეტი ჩართულობა მომავალში, რასაც სასწავლებელი აქამდე ნაკლებად იყენებდა, თუმცა კონკრეტულად როგორ აპირებს ასწავლებელი ამ მიზნის მიღწევას არ ჩანს. დამსაქმებლებთან მიმართებაში მოცემულია რომ სასწავლებელმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რის საფუძველზეც გაიზრდება დამსაქმებლების ჩართულობის ხარისხი. დოკუმენტში „2018 წლის ბიუჯეტური პროექტი“ მოცემულია მონაცემები შემოსავლების და ხარჯების შესახებ. პროცენტულად არის გაწერილი რა თანხა გადის ხელფასებზე, საკანცელარიო ხარჯებზე სასწავლების განვითარებაზე და კომუნალურ ხარჯებში. პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, კომპონენტების ჩამონათვალში არ შედის ბიუჯეტი, რაც

წარმოდგენილი უნდა იყოს (მოიცავს: აკადემიური პერსონალის ჰონორარებს, პროგრამის ხელმძღვანელის ანაზღაურებას, პროგრამით განსაზღვრული ლიტერატურის შეძენისათვის აუცილებელ ხარჯებს, პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურებას, ექსტრა კურიკულარული აქტივობებისათვის საჭირო და სხვა ხარჯებს), თუმცა იგივე დოკუმენტში ცალკე მუხლში მოცემულია პროგრამისთვის ბიუჯეტის დართვის აუცილებლობა;

სასწავლებელში ფუნქციონირებს სამი საბაკალავრო პროგრამა, აქედან ერთი საერთაშორისო ურთიერთობები დამატებულია საანგარიშო პერიოდის დროს. თითოეული პროგრამისთვის მომზადებულია შრომის ბაზრის დოკუმენტი, რომელიც მეტწილად ეყრდნობა მეორად ინფორმაციას, გამოყენებულია ეკონომიკის სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული შრომის ბაზრის კვლევები. სასურველია სასწავლებელმა თავად ან სხვა სასწავლებლებთან ერთად იზრუნოს შრომის ბაზრის კვლევის ჩატარებაზე და მხოლოდ მეორად მონაცემებს არ დაეყრდნოს. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს როგორი მიდგომა აქვს სასწავლებელს დამსაქმებლებთან ურთიერთობის, რამდენად აქტიურია კომუნიკაცია გარდა შევსებული კითხვარისა.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არის 61%, სპეციალობის მიხედვით 54%.

დოკუმენტში აღნიშნულია რომ სასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს (პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით), პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას;

შეფასებისთვის შედგენილი კითხვარები, რაც შემუშავებულია ინფორმაციის მისაღებად, უფრო დეტალური იყოს და პასუხობდეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა კომპონენტის შეფასებას. კურსდამთავრებულთა მიერ შევსებულ კითხვარში მითითებულია რომ არ დასჭირდათ არავითარი დამატებითი განათლების მიღება სამსახურისთვის, მაშინ როცა დამსაქმებელთა კითხვარში მითითებულია რომ 91 პროცენტს დასჭირდა გადამზადება, ასევე კურსდამთავრებულთა კითხვარში ერთერთი კითხვა მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს ერთად, მაგალითად შეგხვდათ თუ არა პრობლემები სამუშაოს ძიებისას და რა წესით შეგარჩიეს? მეორდება ერთი და იგივე შინაარსის შემცველი კითხვები. დამსაქმებლის მიერ შევსებულ კითხვარში ჩანს რომ 29% ფიქრობს რომ საჭიროა პროგრამის სტრუქტურის, კომპონენტების და კრედიტების განაწილების კორექტირება, რა ზომები მიიღო სამუშაო ჯგუფმა ამ საკითხთან დაკავშირებით?

კითხვარში ბიბლიოთეკის შეფასების შესახებ არ ჩანს რამდენად ზრუნავს სასწავლებელი სტუდენტების და პერსონალისთვის საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-17 მუხლში მოცემულია პროგრამის მიღების, შეცვლის და გაუქმების წესი. სასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის საკითხი. პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებს შორის შესაბამისობის დადგენას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იძლევა სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობას; სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; დამატებით სემესტრში ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას სტუდენტი გათავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან; სასწავლებელი იღებს

ვალდებულებას ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ გავლილი აკადემიური სასწავლო კურსების მაქსიმალური მოცულობით აღიარებას, რისთვისაც სასწავლებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სასწავლებელს ჩატარებული აქვს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამების შეფასებისთვის. პროგრამის განხორციელების შეფასებისთვის წელიწადში ერთხელ იკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს პროგრამის შეფასებას და გეგმავს შესაბამის ცვლილებებს განვითარებისთვის. ჩანაწერი ზოგადია, არსად კონკრეტულად არ ჩანს რა პრობლემები არსებობდა და როგორ დაიგეგმა პროგრამის განვითარება შემდეგში. ასევე არ აღინიშნება აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები; ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების გაუმჯობესება ერთერთი მიზანია სტრატეგიულ გეგმაში და აუცილებლად საჭიროებს გაუმჯობესებას.

გამოკითხვებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის შეფასება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან რამდენადმე პრობლემატურია, იგეგმება მეტი პრაქტიკული კურსის შეტანა კურიკულუმში, რაც ერთადერთი აქტივობა არ შეიძლება იყოს მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

2017 წლის სამოქმედო გეგმის ანლიზში შესრულებულ პუნქტებში მოცემულია მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდიფიცირება, რაც ნაწილობრივ შესრულებულია.

სასწავლებელს ჩატარებული აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი 2017-18 წლების საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრითვის. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია გაუსის დიაგრამით სტუდენტთა შეფასებები და მისაღებ ზომებში აღნიშნულია, რომ საჭიროა შეფასების მეთოდების შესატყვისი გამოყენება სასწავლო კურსებში, ბუნდოვანია რა იგულისხმება, ყველა საგანს თავისი შეფასების კომპონენტები უნდა ჰქონდეს.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის წესი მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის, თუმცა სასწავლებელს განსაზღვრული აქვს აკადემიური ნაშრომის მიმართ მოქმედი წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი
- პროგრამების კატალოგი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა.
- საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2017;
- შრომის ბაზრის კვლევა ტურიზმი 2017;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების მიმოხილვითი კვლევა 2018;
- ახალგაზრდების დამოკიდებულებების, მოტივაციის და დასაქმების სტრატეგიების შესწავლა _ჯანდაცვის სამინისტრო 2016; საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი_საქართველოს მდგრადი განვითარების და ეკონომიკის სამინისტრო ანალიზი 2017.
- შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა 2015. ჯანდაცვის სამინისტრო.
- ბიზნესის შრომის ბაზრის კვლევა _2017.
- სწავლის შედეგების შეფასება 2017-18 წლის შემოდგომის სემესტრი
- სწავლის შედეგების შეფასება 2017-18 წლის გაზაფხულის სემესტრი
- დანართი 1 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ
- დანართი 2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების
- ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში.
- 2017 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი

- სამწლიანი სამოქმედო გეგმა

რეკომენდაციები:

- პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და განახლების მეთოდოლოგია უნდა გაუმჯობედეს, განსაკუთრებით პროგრამის განხორციელების შეფასების და განვითარების მიმართულებით.
- რეკომენდირებულია გარე დაინტერესებული მხარეების მეტად ინტენსიური მონაწილეობა პროგრამების შემუშავებაში და განახლების პროცესში.

რჩევები:

- სამოქმედო გეგმაში ხსენებული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა მწირია და ნაკლებად თანამედროვე, სასურველია გადაიხედოს.
- შიდა შეფასებისთვის შედგენილი კითხვარები უნდა დაიხვეწოს პროგრამების უკეთ შეფასებისთვის, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ახალ სასწავლებელს აქვს სამი საბაკალავრო პროგრამა, ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების და საერთაშორისო ურთიერთობების, აქედან ეს უკანასკნელი შემუშავებული აქვს საანგარიშო პერიოდში. პროგრამები შედგენილია საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის სისტემის პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამების აღწერილობა მოცემულია პროგრამების კატალოგში და ასევე ცალკე დოკუმენტში, რომელსაც 6 დანართის სახით ერთვის შემდეგი დოკუმენტები: მატერიალურ ტექნიკური რესურსი, აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების ჩამონათვალი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კომპეტენციების რუკა და სასწავლო გეგმა. მართალია, დოკუმენტურად ყველა კომპონენტი ცალკე არის მოცემული, მაგრამ ხშირად იმეორებს ერთი და იგივე ინფორმაციას, მაგ: სწავლის მიზნები, სწავლის შედეგები და ა.შ. პროგრამების კურიკულუმი საშუალებას მისცემს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს გონივრულ ვადაში მიაღწიოს; პროგრამების კურიკულუმები შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან. სტუდენტს აქვს საშუალება თავად დაგეგმოს რომელ არასავალდებულო კომპონენტს აირჩევს. პროგრამის მოცულობაში კრედიტები ლოგიკურად არის გადანაწილებული მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით; აღსანიშნავია რომ სამივე პროგრამაზე,

თითქმის ყველა სილაბუსში, შეფასების კომპონენტები არის შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა, წერითი გამოკითხვა და ზეპირი გამოკითხვა.
სამივე პროგრამის კურიკულუმში ინტეგრირებულია წერითი ნაშრომის შესრულების შესახებ დოკუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდები ძირითადად შეესაბამება დარგის სპეციფიკას. სტრატეგიის ერთ-ერთ ქვემიზანში 1.1.6. მოხსენიებულია სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვა. დოკუმენტებში არ ჩანს რა ქმედებებს მიმართავს სასწავლებელი ამ მიმართულებით.

სასწავლებელს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, დევს ვებგვერდზე. დოკუმენტურად რთული დასადგენია რამდენად ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. სხვა ალტერნატიული მექანიზმები, გარდა სოციალური ქსელის გვერდისა, რომელიც ნაკლებად ინფორმატიულია, არ არის.

პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება წელიწადში ორჯერ, დამსაქმებლების კურსდამთავრებულების და სტუდენტების მიერ. პროგრამის განხორციელების შეფასებისთვის წელიწადში ერთხელ იკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი; სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელ(ებ)ი; სტუდენტები; კურსდამთავრებულები; როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელ(ებ)ი, (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში); შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში); უცხოელი სპეციალისტ(ებ)ი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში); ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელ(ებ)ი; ჯგუფი განიხილავს პროგრამის შეფასებას და გეგმავს შესაბამის ცვლილებებს განვითარებისთვის. დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში მნიშვნელოვანია და არ უნდა იყოს დამოკიდებული პერსონალის სურვილზე. მიუხედავად ჩატარებული გამოკითხვებისა, რომლის შედეგები ასახულია დოკუმენტში „სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამის განვითარების მიზნით“ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით არ ჩანს არსებული პრობლემები და მათი გამოსწორების გზები, მაგალითად აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები, სტატუს შეჩერებული სტუდენტების მაღალი მაჩვენებელი და აშ.

სასწავლებელს ჩატარებული აქვს გამოკითხვები სტუდენტების, კურდამთავრებულების და დამსაქმებლის მიერ პროგრამით კმაყოფილების შესახებ, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას არ მოიცავს. ანალიზიც რამდენადმე ზედაპირულია. საყურადღებოა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებში პროცენტულად. კურდამთავრებულთა კვლევის კითხვარში არ ჩანს აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა და სილაბუსები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. თუმცა მაგალითად ტურიზმის პროგრამაზე და ასევე საერთაშორისო ურთიერთობებზე მწირია თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, შეფასების კომპონენტები ერთი და იგივეა ყველა სალექციო კურსისთვის, რაც დარგთან მიმართებაში არ არის გამართლებული. არადა 2017 წლის სამოქმედო გეგმაში სასწავლებელი აღნიშნავს რომ საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად არის სრულყოფილი.

პროგრამების კურიკულუმში ინტეგრირებულია აკადემიური წერის კომპონენტი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები აქვს ტურიზმის პროგრამას, შესავალი კვლევის მეთოდებში ინტეგრირებულია საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურიკულუმში არის სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისთვის.

სასწავლებელს შემუშავებული აქვს აკადემიური კალენდარი აკადემიური წლისთვის.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში, მუხლი 20, სასწავლებელს გაწერილი აქვს სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და უზრუნველყოფის პროცედურა. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს რამდენმა სტუდენტმა ისარგებლა ინდივიდუალური გეგმით. წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს, თუ როგორ არის მოწყობილი სასწავლებლის სალექციო/სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, დამხმარე სათავსოები და სპორტული სივრცე. თუმცა თუ დავეყრდნობით 2017 წელს განხორციელებულ სტუდენტური კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ანგარიშს (04.04.217 წ.) შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენობები ძირითადად შესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

სტუდენტი მეტწილად ინფორმირებულია სასწავლებელში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ; პროგრამების კატალოგი განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასთვის თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ვებგვერდზე არ იძებნება.

სასწავლებელში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემა, www.emis.newuni.edu.ge რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვისათვის. ადმინისტრაციას, ლექტორებს და სტუდენტებს საკუთარი ანგარიშები აქვთ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სტუდენტს საკუთარ გვერდზე აქვს შესაძლებლობა სრულად გაეცნოს მის საგანმანათლებლო პროგრამას, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარ აკადემიურ შეფასებაზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები. აღნიშნული სერვისი ასევე მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას, სტუდენტის აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით, როგორც მოცემულ დოკუმენტაციაშია წარმოგენილი, სისტემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს თავად დაგეგმონ აკადემიური კალენდარი, დარეგისტრირდნენ სასურველ დროს და სასურველ სასწავლო კურსებზე (რასაც ითვალისწინებს სტუდენტის სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით). თუმცა სტუდენტთა შეფასებებში არსად არ ჩანს ბაზის მუშობის შეფასება.

მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იძებნება რა ღონისძიებებს მიმართავს სასწავლებელი ლექტორებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების (მაგალითად სწავლების მეთოდოლოგია) საკითხში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური კალენდარი
- საბაკალავრო პროგრამების აღწერილობა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი
- სილაბუსები
- დოკუმენტი: სწავლა სწავლების მეთოდები და ძირითადი ფორმები
- პროგრამების კატალოგი
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა.

- სწავლის შედეგების შეფასება 2017-18 წლის შემოდგომის სემესტრი
- სწავლის შედეგების შეფასება 2017-18 წლის გაზაფხულის სემესტრი
- დანართი 1 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ
- დანართი 2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ანგარიში.
- ვებგვერდი
- ელექტრონული მართვის სისტემა

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს დოკუმენტი პროგრამების განსაზღვრულ ვადაში დასრულების და განთესვის მონიტორინგის შესახებ.
- უნდა შეიქმნას უფრო დეტალური მეთოდოლოგიის დოკუმენტი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

რჩევები:

- სასწავლო მასალა ზოგიერთ სილაბუსში გასაუმჯობესებელია
- სასწავლებელმა ორგანიზება უნდა გაუკეთოს ღონისძიებებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის, რაც შეიძლება იყოს ტრენინგი ეფექტიან სწავლებაში, სტუდენტების საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ეფექტიანი კომუნიკაცია, საერთაშორისო/კვლევითი პროექტების მენეჯმენტი და აშ.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული სილაბუსებში, პროგრამების აღწერილობებში და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; თითოეული პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს; გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრში ჩატარებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.

სასწავლებელში მოქმედი შეფასების სისტემა შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობასთან სტუდენტი ინფორმირებულია მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ, რაც მოცემულია

სილაბუსებში და პროგრამების კატალოგში. სასწავლებელში ფუნქციონირებს ელექტრონული მართვის სისტემა, სადაც სტუდენტს შეუძლია საკუთარი შეფასებების ნახვა, სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასება, პროცედურის აღწერილობა მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში მუხლი 18. კონკრეტული მაგალითების მოყვანა არსებული დოკუმენტების საფუძველზე შეუძლებელია.

სილაბუსების დიდ ნაწილში, მაგალითად საერთაშორისო ურთიერთობების, ტურიზმის პროგრამებზე თითქმის ყველა სილაბუსში შეფასების ინსტრუმენტები ერთი და იგივეა, ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, ან პრეზენტაცია. თითოეულ შეფასების კომპონენტს თან ერთვის აღწერილობა და ქულების განაწილება, მაგრამ თითოეულ საგანში არსებული შეფასების კომპონენტები მეტად უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და ინდივიდუალური იყოს. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს რომ სტუდენტი ვერ მიაღწევს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, მაგრამ აუცილებელია შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავებული იყოს.

პროგრამის აღწერილობას თან ერთვის 7 დანართი, პირველი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, პროგრამის განმახორციელებელი რესურსი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა. მოცემულ დოკუმენტებში მეორდება ერთი და იგივე ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა
- დანართები 1,2,3,4,5,6
- სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- www.emis.newuni.edu.ge

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია თითოეულ საგანში არსებული შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ინდივიდუალური იყოს, რომ სტუდენტმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები გააუმჯობესოს. გარდა ამისა შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ცალკეული კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, რაც აკადემიურ პერსონალსაც ეხმარება სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში.

რჩევები:

- პროგრამების აღწერილობას თან ახლავს 7 დანართი. ყველგან მეორდება სწავლის შედეგების აღწერილობა, სასურველია პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში იყოს ინტეგრირებული ის დოკუმენტები რაც ერთგვერდიანი დანართების სახით არის წარმოდგენილი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლებელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პერსონალის მართვის საკითხებში ძირთად დოკუმენტს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განმარტავს და არეგულირებს შემდეგ საკითხებს: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს, ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებსა და ამოცანებს, პერსონალის შერჩევას, დასაქმებასა და შეფასებას, პერსონალის პროფესიული განვითარებას, მოტივაციასა და წახალისებას, ანაზღაურებას და ა.შ. დოკუმენტი შედგება 8 თავისაგან და დანართებისაგან. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა კონცეფციურ დონზე სათანადო დონეზე აღწერს ადამიანური რესურსების მართვის საკითებს. იგი შედგება მთელი რიგი პოლიტიკებისა და წესებისაგან, განსაკუთრებით გამოსაყოფია როგორც კარგი პრაქტიკის მაგალითი ის ფაქტი, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასწავლებლის პერსონალი (მუხლი 25). ამავდროულად იგრძნობა, რომ იგი არის რამდენიმე დოკუმენტის კომპილაციის შედეგად მიღებული დოკუმენტი, რადგან მისი სხვადასხვა ნაწილების სტრუქტურა და გადმოცემის სტილი საგრძნობლად განსხვავებულია. ასე მაგალითად, რიგი საკითხები აღწერილი ძალიან დაწვრილებით (თავი 5. შრომითი ურთიერთობები), ხოლო რიგი საკითხები კი წარმოდგენილია მეტწილად პოლიტიკის დონზე და არ შეიცავს განხორცილების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პროცედურებს/წესებს (თავი 6. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის შემუშავების

მეთოდოლოგია/წესი,). მთლიანობაში მისთვის დამახასიათებელია უსდ-ს თვითშეფასების ანგარიშის და არა მარეგულირებელი დოკუმენტის სტილისტიკა.

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უმეტესწილად ეყრდნობა დემინგის ციკლს (Plan-Do-Check-Act, PDCA), თუმცა, რიგ შემთხვევებში არსებული წესები/პროცედურები შეიცავენ მთელ რიგ სისუსტეებსა და გაურკვევლობებს: არ ჩანს თუ ვინ არის პასუხიმგებელი და ვინ ჩართული მხარე, რა ლოგიკური თანმიმდევრობითა და ეტაპების გავლით, რა ვადებში უნდა მოხდეს მისი განხორციელება. ასე მაგალითად: პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის წესთან (მუხლი 6. კონკურსის გამოცხადება) მიმართებაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ ჩანს საკონკურსო კომისიის ფორმირების სისტემა/წესი, არ არის განსაზღვრული საკონკურსო შერჩევის სტანდარტული მეთოდები (მაგალითად გასაუბრება, ტესტირება, საჯარო ლექცია და სხვა), არ ჩანს თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს საკონკურსო კომისიის მიერ პრეტენდენტის შეფასება და სხვა სხვა საკითხები, რომელიც მიმრთულია კონკურსის სამართლიან და ეფექტურ ჩატარებაზე. აღნიშნული გარემოებას აგრეთვე ადასტურებს სასწავლებელის მიერ გამოცხადებულ საკონკურსო განაცხადების დოკუმენტაციაც. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში საერთოდ არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის რაიმე წესი.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, პერსონალის მართვის საკითხებში სასწავლებელს არ გააჩნია მთელი რიგი რეგულაციები, რომლებიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ამჟამად უკვე არსებულ დანართებს (დანართი 3 - ლექციაზე ურთიერთდასწრების ფორმა, დანართი 6. - სამსახურის წლიური ანგარიშის ფორმა, დანართი 7. - სასწავლებელში პერსონალის გამოკითხვა სოციალიზაციის შესახებ).

პერსონალის მართვის პოლიტიკაში არა არის განსაზღვრული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პერსონალის ადაპტაციისა პოლიტიკა და პროცედურები, ასევე უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების სასწავლებლის შიგნით დასაქმებისა და სტაჟირების პროცედურები. თუმცა სასწავლებლის სამწლიანი სამოქმედო გეგმის მუხლი 2.2.4-ით განსაზღვრულია ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის დაფინანსება კვალიფიკაციის ამაღლებისთვის;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მუხლები 14 და 15 განსაზღვრავენ სასწავლებლის აკადემიური პერსონალის აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურებსა და პირობებს, თუმცა არ ჩანს თუ რა დამატებით სარგებელს ან პრივილეგიებს სთავაზობს სასწავლებელი თავის აფილირებულ პერსონალს.

სასწავლებელში განხორციელებულ წინა მონიტორინგის შედეგად ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომ სასწავლებელმა არსებული შრომითი კონტრაქტები (აკადემიური, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან) დახვეწოს და მოიყვანოს სრულ შესაბამისობაში შრომის კოდექსთან. დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება შრომით კოდექსითა და სასწავლებლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც სასწავლებელს განსაზღვრული აქვს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის მათი სამუშაო აღწერის, პასუხისმგებლობისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ამავდროულად სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები, როგორც სტრუქტურულად, ასევე მოთხოვნების მხრივ ერთნაირია. ასე მაგალითად: ხელშეკრულების ნიმუშის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს დასაქმებულის მოვალეობებს, თუმცა ყველა მუხლი ზოგადია, ნაკლებად ინფორმატიული და რაიმე ფორმით (არც ტექსტუალურ და არც თანამდებობის შესაბამისი სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე რეფერირებით) არ არის ასახული დაქირავებულის სამუშაო აღწერილობა და მოთხოვნები. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს შპს „ახალი უმაღლესი

სასწავლებლის“ წესდებით, შინაგანაწესით და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები“ (ხელშეკრულების ნიმუშის მუხლი 3.1).

სამუშაოთა აღწერილობების შერჩევითი წესით შედარებამ გამოვლინა, რომ ერთნაირი სახის პერსონალის სამუშაო აღწერილობები არის ერთგვაროვანი, ზოგადი ნაკლებად ინფორმატიული. ასე მაგალითად: ყველა სახის აკადემიური პერსონალის სამუშაო აღწერილობები (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) არის იდენტური და ძალიან ზოგადი, რაც არ იძლევა საშუალებას მოხდეს შესაბამისი პოზიციაზე დასაქმებულის შეფასება და საკონკურსო შერჩევის ეფექტიანად ჩატარება.

სამუშაო აღწერილობაში აგრეთვე არ არის განსაზღვრული აკადემიური, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ოდენობაც. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად ანაზღაურება დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს ხასიათის, მისი მოცულობისა და ხარისხზე და განისაზღვრება რექტორის მიერ განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს და დასაქმებულის კვალიფიკაციის გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით (მუხლი 22.) თუმცა კონკრეტულად რა წესით ხდება თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრა, ამის დამდასტურებელი დოკუმენტი სასწავლებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი.

სასწავლებელში შემუშავებული აქვს და ფუნქციონირებს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობისა და კმაყოფილების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებს იყენებს პერსონალის მართვისა და პერსონალის წახალისების პროცესში. აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება სტუდენტთა გამოკითხვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებით, პერსონალის თვითშეფასებით, დარგში მიღწეული აღიარებით, მიღებული ჯილდოებით და სხვ. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში იყო მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის ამსახველი ანგარიში, რამაც შეუძლებელი გახადა რათა ექსპერტთა ჯგუფს ემსჯელა შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ.

სასწავლებლის გააჩნია თანამშრომელთა მრავალფეროვანი წახალისების ფორმები, რომელიც დაფუძნებულია პერსონალის შეფასების სისტემაზე და ითვალისწინებს სამსახურეობრივ მოვალეობათა ხანგრძლივ, კეთილსინდისიერად და სანიმუშო შესრულებას, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულების ფაქტს და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი საჭიროებს როგორც სტილისტურ, ასევე პროცედურების მხრივ გადახედვა/გაუმჯობესებას.

მონიტორინგის ჯგუფი აღნიშნავს, რომ სასწავლებელი ათვითცნობიერებს ადამიანური რესურსების მართვის საკითხში ზემოაღნიშნულ პრობლემებს, რამაც ასახვა პოვა სასწავლებლის 7 წლიანი სტრატეგიულ გეგმაში, სადაც ადამიანური რესურსების განვითარება დასახელებულია როგორც სტრატეგიულ მიზანი 2.2 - ადამიანური რესურსების განვითარება და ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ქვემიზნები რომლებიც მიმართული არის ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებაზე, ახალ პერსონალის მოზიდვაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ჩამოყალიბება და განვითარებაზე. ამიტომაც საკითის სიმძაფრიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელმა ზუსტად დაიცვას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადები და სრულფასოვნად განახორციელოს დასახული ამოცანები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება #54-კ, 29.10.2018;
- აფილირების წესი;
- აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა;

- სასწავლებლის შინაგანაწესი;
- სამუშაოთა აღწერილობა;
- აკადემიურ, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლებლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სასწავლებლის სამწლიანი სამოქმედო გეგმა.
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხელშეკრულებების ნიმუშები.
- სასწავლებლის 7 წლიანი სტრატეგიულ გეგმა

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, როგორც სტილისტური, ასევე პროცედურების და წესების შინაარსის, დაგეგმილი ეტაპებისა და სამუშაოებთა, აგრეთვე სტრუქტურის გადახედვა და გაუმჯობესება, აგრეთვე ადამიანური მართვის საკითხებში ახალი პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება;
- განხორციელდეს ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის სტრუქტურისა და შინაარსის ძირეულ გადახედვა და გაუმჯობესება;
- განხორციელდეს სამუშაო აღწერილობის დაფუძნებული ყველა სახის აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელშეკრულების ფორმის გადახედვა და გაუმჯობესება.

რჩევები:

- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტაცია უნდა ეყრდნობოდეს დემინგის ციკლს (Plan-Do-Check-Act, PDCA), ხოლო არსებული და ახალი პროცედურების/წესების ეფექტიანებისა და ერთგვაროვნების მიზნით სასწავლებლის მიერ შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილი იქნეს პროცედურების/წესის ერთიანი სტრუქტურისა და სტილის აღმწერი მარეგულირებელი დოკუმენტი.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით აყვანის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და პერსონალის ადაპტაციის, უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების სასწავლებლის შიგნით დასაქმებისა და სტაჟირების პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები.
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავდეს და დაინერგოს სასწავლებლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, უფლება-მოვალეობებზე, სამუშაოს სპეციფიკაზე და მის მოცულობაზე დაფუძნებული თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი და სამუშაო აღწერილობაში დაფიქსირდეს მისი შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- სასურველია მაგრამ არააუცილებელი, რათა მოხდეს სასწავლებლის შინაგანაწესის, აფილირების წესის, აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემისა და სასწავლებლის შინაგანაწესი შერწყმა.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მუხლი 23 განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვის გადანაწილების საკითხს. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა წარმოადგენს მრავალკომპონენტიან სტრუქტურას და მათ შორის მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, სტუდენტების მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას, დამატებით აკადემიურ აქტივობას, სამეცნიერო კვლევას, ადმინისტრაციული აქტივობას, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობას და სხვა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემა დგება ფაკულტეტზე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ჩართულობით და სავალდებულოა, რომ აკადემიური პერსონალისთვის მთელი წლის განმავლობაში, სემესტრულად იმგვარად მოხდეს სავარაუდო დატვირთვის განსაზღვრა, რომ გათვალისწინებულ იქნას სასწავლებლის პრიორიტეტები. თუმცა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ ჩანს თუ რა პროცედურებითა და როგორ უნდა იქნეს განხორციელებული აღნიშნული სამუშაოები.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხელშეკრულებების ნიმუშებში არ არის ასახული პერსონალის დატვირთვის საკითხები და განსაზღვრავრულია დასაქმებულის სამუშაო დრო - 5 დღიანი, 40 სამუშაო საათი სამუშაო კვირით, რაც არაადექვატურად ასახავს სამუშაოს სპეციფიკას.

სასწავლებელს გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წეს, რომლის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მინიუმ საჭიროა 1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 ასისტენტი და 3 მოწვეული პერსონალი. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული ოდენობებიც - 18 სტუდენტი აკადემიურ პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეულის შემთხვევაში კი 80. მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს რომ აღნიშნული ნიშნულები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისა პროცესის წარმართვას. თუმცა აღსანიშნავია, რომ თავად დოკუმენტი ძალიან ზოგადია და შეუძლებელია იმ მიზეზების იდენტიფიცირება, როგორ, რა ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მოხდა ამა თუ იმ მონაცემების დადგენა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მდგრადობისათვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას განხილული თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში განიხილული იქნეს არსებული და დაგეგმილი სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობა, აგრეთვე გაითვალისწინებული პროგრამის სპეციფიკა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უსდ-ბის რეესტრის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით სასწავლებელში ამჟამად აქტიური სტატუსის მქონე 407 სტუდენტი სწავლობს 3 საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამავე რეესტრის ამონაწერიდან ჩანს, რომ სასწავლებელს გააჩნია 95[5] აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საიდანაც უშუალოდ

[5] სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უსდ-ბის რეესტრის მიერ მოწოდებული ციფრები უმეტესწილად ემთხვევა სასწავლებლის მიერ მოწოდებულ მონაცემებს. განსხვავება ფიქსირდება

სწავლების პროცესში ჩართულია 41. შემდეგი ცხრილ აჩვენებს რომ სასწავლებლის არსებული მაჩვენებლები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესის მოთხოვნებს.

პროგრამები	სულ	სტუდენტები	თანაფარდობა
30075-01: ბიზნესის ადმინისტრირება		268	
პროფესორი	4		17.87
ასოცირებული პროფესორი	10		
მოწვეული	5		44.67
30075-02: ტურიზმი		60	
პროფესორი	1		15.00
ასოცირებული პროფესორი	2		
მოწვეული	4		12.00
30075-03: საერთაშორისო ურთიერთობები		79	
პროფესორი	4		7.90
ასოცირებული პროფესორი	5		
მოწვეული	4		15.80
30075-01: ბიზნესის ადმინისტრირება, 30075-02: ტურიზმი, 30075-03: საერთაშორისო ურთიერთობები		ეს ორი აკადემიური პერსონალი ერთდროულად ჩართულია 3 საგანმანათლებლო პროგრამაში, ამიტომაც დაემატა შესაბამის საგანმანათლებლო კურსის პერსონალის ოდენობას	
ასოცირებული პროფესორი	1		
მოწვეული	1		
არ ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამას	54		
პროფესორი	7		
ასოცირებული პროფესორი	13		
ასისტენტ-პროფესორი	1		
ასისტენტი	3		
მოწვეული	30		
სულ აკადემიური და მოწვეული პერსონალი	95		

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვისთვის მაჩვენებელიც. რეესტრის ამონაწერი აჩვენებს შემდეგ, რომ სასწავლებელში არცერთ აკადემიურ პერსონალს რომელიც ჩართულია სწავლების პროცესში არ უფიქსირდება 13 საათზე მეტი. მეტიც, სასწავლებლის აფილირებული აკადემიურ პერსონალს სხვა უსდ-ში ჯამური დატვირთვაც არ აღემატება 20 საათს. ყოველივე ეს ფაქტი წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწვეული პერსონალის ნაწილს (5 პერსონის შემთხვევაში) სასწავლებელში და სხვა უსდ-ში ერთობლივი ჯამური დატვირთვა აჭარბებს 40 საათს, ხოლო კიდევ 5-სა კი მერყეობს 32-40 საათს შორის. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს რიკს ფაქტორს, საჭიროებს ყურადღების მიქცევას და დადგენას, თუ რითი იყო გამოწვეული აღნიშული გარემოება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უსდ-ბის რეესტრის მონაცემები

მხოლოდ ასოცირებული პროფესორების ნაწილში: სასწავლებელი მიუთითებს 37, ხოლო რეესტრში ფიქსირდება 31 ასოცირებული პროფესორი.

• უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი. • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა • სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) • აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ხელშეკრულებების ნიმუშებში
რეკომენდაციები: • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სისტემის ფარგლებში განისაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური დატვირთვის ზღვრული მაჩვენებელი და შემუშავდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების სქემის შემუშავების, მონიტორინგისა და გადაჭარბებაზე რეაგირების პროცედურები; • გადაიხედოს და გაუმჯობესდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმება ხდება სასწავლო პერიოდის დასაწყისში. უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ახალ უმაღლეს სასწავლებელსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მნიშვნელოვანია მოიცავდეს ინფორმაციას დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების (შინაგანაწესი; ეთიკის კოდექსი და ა.შ.) დაცვის ვალდებულებაზე.

ფაკულტეტის დებულებით გათვალისწინებულია სტუდენტთა სავალდებულო წარმომადგენლობა მართვის ორგანოში - ფაკულტეტის საბჭოში, რომლის მიხედვითაც სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მართვაში. ფაკულტეტის დებულების თანახმად, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები. ფაკულტეტის დებულება ასევე ითვალისწინებს საბჭოს წევრი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის სტატუსის ცნობისა და საჭიროების შემთხვევაში ახალი წევრის არჩევის წესს. აღნიშნული რეგულირება უზრუნველყოფს სტუდენტების შეუფერხებელ და მუდმივ წარმომადგენლობას ფაკულტეტის მართვის ორგანოში.

ზემოაღნიშნული რეგულირების არსებობასთან ერთად მნიშვნელოვანია, როგორ უზრუნველყოფს აუს სტუდენტების ინფორმირებულებას ფაკულტეტის საბჭოში მათი ინტერესების წარმომადგენლობასა და განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორ ახდენენ სტუდენტები კოორდინაციას ფაკულტეტის საბჭოსთან ან ახალი პროექტების ინიცირებას სტუდენტურ თვითმართველობის შუამავლობით. აღნიშნული კითხვის არსებობას ამყარებს ის ფაქტი, რომ სასწავლებლის ვებ-გვერდზე განთავსებული თვითმართველობის გვერდი ცარიელია და არ შეიცავს არავითარ ინფორმაციას თვითმართველობის საქმიანობის შესახებ, თვითმართველობის არაწევრი სტუდენტების სტუდენტურ თვითმართველობასთან თანამშრომლობის ფორმებისა და შესაძლებლობების შესახებ. რეგულაციურ დონეზე ახალი უმაღლესი სასწავლებლის წესდება მოიცავს თვითმმართველობის უფლებამოსილების ძირითად ასპექტებს.

სტუდენტური თვითმართველობის საქმიანობა მაქსიმალურად უნდა იყოს დაფუძნებული ინფორმაციის შეუზღუდავ გაზიარებასა და ხელმისაწვდომობაზე, თითოეული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინმების პრინციპზე. აღნიშნულისათვის აუს-მა თვითმართველობის ფორმირებისა და ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის გარდა უნდა დანერგოს მათი საქმიანობის გამჭვირვალობისა და დანარჩენ სტუდენტობასთან ეფექტური კოორდინაციის მექანიზმები.

ახალი უმაღლესი სასწავლებელი მხარს უჭერს ისეთი სტუდენტური აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა სტუდენტური კონფერენციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები; სტუდენტების მივლინებები და ექსკურსიები. მნიშვნელოვანია, რომ აუს-ს დადგენილი ჰქონდეს სტუდენტების აკადემიურ და კულტურულ აქტივობებში მონაწილეობის, სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობის შეფასებისა და წახალისების კრიტერიუმები და მექანიზმები მარეგულირებელი დოკუმენტის სახით. ერთიანი წესის დადგენა აამაღლებდა

სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხსა და ცნობიერების დონეს აკადემიური აქტივობების წახალისების მხარდაჭერის მიმართ. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აუს-ს აქვს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმები მათი სისტემური და თანმიმდევრული გამოყენების მიზნით დადგენილი იყოს სასწავლებლის შიდა მარეგულირებელი აქტებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა წახალისების ერთგვარი პრაქტიკის დანერგვას და გამჭვირვალობას სტუდენტის პერსპექტივიდანაც. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე ვერ მოხდა იმის განსაზღვრა თუ რამდენი სოციალურად მოწყვლადი სტუდენტი ყავს უნივერსიტეტს. ახალი უმაღლესი სასწავლებელის მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტს აქვს შესაძლებობა გამოხატოს უკმაყოფილება და გაასაჩივროს აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. აუს-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ გაწერილია თუ როგორ შეუძლია გამოხატოს სტუდენტმა უკმაყოფილება და გაასაჩივროს ესა თუ ის საკითხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დაწესებულების წესდება; • შინაგანაწესი; • ეთიკის კოდექსი; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სასწავლებელსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება; • სასწავლებლის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: • სასწავლებელმა სტუნდეტთა ინფორმირებულობის ზრდისა და მათი წახალისების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად საჭიროა შიდა რეგულაციის სახით შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური აქტივობის შეფასებისა და წახალისების კრიტერიუმები და სასტიპენდიო დაფინანსების მინიჭების წესი.
რჩევები: • სასურველი იქნება ჩამოყალიბებდეს სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო. • სასურველია ფაკულტეტის საბჭოს წევრების, მათ შორის წევრი სტუდენტების სია ხელმისაწვდომი იყოს სასწავლებლის ვებ-გვერდზე.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.

- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ახალ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმები.

დეკანატისა და ლექტორების გარდა სტუდენტთა ინფორმირებულობას ემსახურება შემდეგი სამასხურები: კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) და უწყვეტი განათლების ცენტრი; სტუდენტთა ინფორმირების უფლებამოსილება გადანაწილებულია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე. ასევე, უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის საკომუნიკაციო სერვისი. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია თითოეული ცენტრისა თუ სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის სასწავლებლის ვებ-გვერდზე მითითებული იყოს პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა სტუდენტმა მარტივად მოახერხოს მასთან დაკავშირება, ვინაიდან ამჟამად ვებ-გვერდზე რაიმე სახის ინფორმაცია არ ფიქსირდება.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის დებულების მიხედვით, ცენტრის მიზანია სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებით. ასევე მათი მიზანია „დასაქმების ფორუმის“ პერიოდულად ორგანიზება; სასწავლებელში დამქირავებლთან შეხვედრების ორგანიზება; დამსაქმებლის მიერ არჩეული კადრების მიზნობრივი მომზადება შესაბამისი სასწავლო კურსებით; ასევე, ამ სტრუქტურული ერთეულის დანიშნულებაა კონსულტაციების გაწევა სტუდენტებისთვის პროფესიული განვითარებისა და დასაქმების საკითხებზე.

უმაღლესი სასწავლებელი უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებას და მათთან თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებ-გვერდზე ცენტრისათვის განკუთვნილ ონლაინ სივრცეში ხელმისაწვდომია მხოლოდ ცენტრის საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების ამსახველი ინფორმაცია. ცალკე რუბრიკაში (მარეგულირებელი დოკუმენტები) გამოქვეყნებულია ცენტრის დებულება.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებლის ვებ-გვერდი ასახავდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას. ცენტრის საქმიანობისა და მათში სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, თუ როგორ უზრუნველყოფს სასწავლებელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, ვერ დგინდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ უმაღლესი სასწავლებელი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას კონფერენციებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ნაშრომების თეზისების ბროშურების სახით გამოქვეყნებას (თუმცა, ვებ-გვერდზე არ არის

გამოქვეყნებული არც ბრიშურები და არც კონფერენციის პროგრამები და მონაწილეთა თეზისების სახელწოდებები). ახალი უმაღლესი სასწავლებელი აფინანსებს სტუდენტების ვიზიტებს უცხოეთში პარტნიორ უნივერსიტეტებში ორგანიზებულ ტრენინგ-კონფერენციებზე. გარდა ამისა, ასევე აფინანსებს შიდა და გასვლით სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ იკვეთება გაწერილი შერჩევის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეირჩევიან სტუდენტები. აუს-ს დოკუმენტაცია არ ასახავს საერთაშორისო გაცვლით აკადემიურ პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მაჩვენებელს, რაც სტუდენტების უფრო გრძელვადიანი აკადემიური მხარდაჭერის მაჩვენებელი იქნებოდა. სასწავლებელი მეტად ორიენტირებულია ერთჯერად, მოკლევადიან აკადემიურ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის მხარდაჭერაზე. გაცვლით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის მხარდაჭერა კიდევ უფრო გაზრდიდა სწავლების ინტერნაციონალიზაციის მასშტაბებს. მნიშვნელოვანია, რომ აუს-მა გაზარდოს სასტიპენდიო დაფინანსება აკადემიურ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობის გაჩენის მიზნით. ასევე, მოიწვიოს უცხოელი პროფესორები უცხოენოვანი სასწავლო კურსის წაკითხვის მიზნით. აღნიშული საკითხები სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი არ არის. სასწავლებელს აქვს სტუდენტებისათვის ფინანსური შეღავათების მინიჭების პრაქტიკა. თუმცა, სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს 373 სტუდენტს. უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა გადახედოს სწავლის საფასურის გადაუხდელობის საფუძვლით სტატუს შეჩერებული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის, გარკვეული ფორმით მათ საშეღავათო პოლიტიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის დებულება; • ახალი უმაღლესი სასწავლებლის დებულება; • სტუდენტის ეთიკის კოდექსი; • სასწავლებლის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: • სასწავლებელმა უზრუნველყოს სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით აკადემიურ პროგრამებში. • გადაიხედოს სტუდენტებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის შეჩერების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ახალი უმაღლესი სასწავლებელი არ ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, თუმცა სტუდენტთა საბაზისო კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა სასწავლებლის მისიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სასწავლებელმა, რომელიც არ ახორციელებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ასევე უნდა უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებელთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ხარისხიანი სწავლების მიზანს, ასევე უზრუნველყოფს უახლესი კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვას, კვლევისა და სწავლების ინტეგრირებას. სასწავლებლის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო საქმიანობიდან ძირითადად აღსანიშნავია საერთაშორისო კონფერენციებზე აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობის მხარდაჭერა, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა (2016 წლიდან), სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მივლინება საერთაშორისო კონფერენციებზე, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება სტუდენტური კონფერენციები (2018 წელს 13, 2017 წელს - 23, 2016 წელს 7, 2015 წელს 11 და 2014 წელს 6 სტუდენტის მონაწილეობით) და წარმატებული სტუდენტების მიმართ მოქმედებს წახალისების ისეთი ფორმები როგორიცაა მათი მივლინება სხვადასხვა აკადემიურ ღონისძიებებზე ქ. სოფიაში, მილანში, კაბადოკიაში, ვარშავაში, სალონიკში, ბაქოში, ლარნაკაში, ბაკურიანში. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტური კონფერენციის კვლევის თეზისები ქვეყნდება ბროშურის სახით (ტირაჟი 100) 2014 წლიდან, როდესაც სტუდენტური კონფერენციების ორგანიზების ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. სასწავლებლის ოფიციალური ვებ-გვერდი ასახავს ინფორმაციას სტუდენტური კონფერენციის გამოცხადების, ნაშრომების მიმართ მოქმედი საკონკურსო მოთხოვნების, კონკურსის პირობების შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე კონფერენციის თემატიკისა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობაც იქნეს უზრუნველყოფილი. კონფერენციის მასალები ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული, რაც აუცილებელია კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობისა და სტუდენტთა სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მათი შემდგომი ინტეგრირების მიზნით. კონფერენციების შესახებ ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობის, კონკურსის გამჭვირვალობისა და კვლევის შედეგების აკადემიურ სივრცეში ფართო პრეზენტაციის მიზნით, აუცილებელია სასწავლებელმა

უზრუნველყოს საკონფერენციო ნაშრომების კონკურსის პირობების საჯაროობა. საწავლებელს დადგენილი აქვს აკადემიური ნაშრომის მიმართ მოქმედი წესები. კვლევის მეთოდები და აკადემიური წერის კომპონენტი ინტეგრირებულია საგანმანათლებლო კურიკულუმში. მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელი დებულებები ცალკე აქტის სახით იყოს დადგენილი და მისი ეპიზოდური ასახვა არ მოხდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო აღწერილობებში. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების ამსახველი რეგულაციის არსებობა ხელს შეუწყობს კვლევების კეთილსინდისიერად და აკადემიური პატიოსნების დაცვით წარმართვას სასწავლებელში, სანამ იგი უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული პლაგიატის პრევენციის პროგრამის დანერგვას.

სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ვლინდება, რომ იგი მხარს უჭერს პროფესორ-მასწავლებლების მივლინებას საერთაშორისო კონფერენციებზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სტატისტიკიდან უმთავრესად ხელმძღვანელ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირების მივლინების მხარდაჭერაა გამოკვეთილი. აუცილებელია სასწავლებელს დადგენილი ჰქონდეს სამეცნიერო აქტივობისა და კვლევის ეფექტიანობის შეფასების განმსაზღვრელი და წახალისების ერთგვაროვანი კრიტერიუმები, რომელიც უზრუნველყოფს წახალისების შესაძლებლობებისადმი თანაბარი წვდომის შესაძლებლობას.

სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაზგასმულია, რომ აუს აფინანსებს სახელმძღვანელობის, ასევე სხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომების, კაზუსების კრებულების გამოცემას სასწავლებლის აკადემიური პერსონალის ავტორობით (2014 წლიდან 7 ნაშრომის გამოქვეყნება იქნა მხარდაჭერილი).

აუს-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პოლონეთის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ვარშავის ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტთან, კიევის კროკის უნივერსიტეტთან. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელმა დაამყაროს თანამშრომლობა ახალ უცხოურ კვლევით ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით (საერთაშორისო კონფერენციებზე პროფესორის წარმომადგენლობის მხარდაჭერასთან ერთად) და უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩაბმა კვლევით პროექტებში კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად. სამეცნიერო კვლევითი პროექტების მაჩვენებელი, რომელიც აუს-ის ინსტიტუციური მხარდაჭერის ფარგლებში ხორციელდება სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო ანგარიშებში ვერ იქნა მოძიებული. ვერ იქნა დადასტურებული მიმდინარე ან დასრულებული სამეცნიერო კვლევითი პროექტის არსებობა შიდა ან გარე დაფინანსების ფარგლებში. სასწავლებელი აქვეყნებს მრავალდარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს „სამართალი და დიპლომატია“ (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე) (იხ. ინფორმაცია 6.2. ქვესტანდარტის შეფასების ნაწილში) და ცალკეულ შემთხვევაში სრულად აფინანსებს სახელმძღვანელოების გამოცემას სასწავლებლის აკადემიური პერსონალის მიერ.

სასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კვლევითი პრიორიტეტები სასწავლებლის კვლევითი რესურსის, კვლევის მხარდაჭერის შესაძლებლობებისა და კვლევითი საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად. სასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს სამეცნიერო ფორმურების ორგანიზებას და თანამშრომლობას არა მხოლოდ უცხოურ საგანმანათლებლო ცენტრებთან, არამედ საქართველოს უსდ-ებთან, კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად სხვადასხვა აკადემიურ წრეებთან. მნიშვნელოვანია პროფესორ-მასწავლებელთა პერიოდული და სისტემატური ჩაბმა თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევის უნარების განმავითარებელ ღონისძიებებში, რომლებიც მოემსახურება უცხოელი ექსპერტების მიერ პროფესურის გადამზადებას. სასწავლებლის მიერ

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილია ინფორმაცია 2018 წელს აუს-ის მიერ ორგანიზებული ერთი ტრენინგის შესახებ, რომელიც ეძღვნებოდა თემას: ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად". ღონისძიება სახელდებულია როგორც საერთაშორისო ტრენინგი, თუმცა უცხოელი ექსპერტების ხელმოწერა ან ორგანიზაციის წარმომადგელობა შესაბამის სერტიფიკატზე არ არის მითითებული. აუს-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ღონისძიებას ესწრებოდა აუს-ის სამეცნიერო პერსონალის 20 წარმომადგენელი. აღნიშნული ღონისძიების ჩატარების დასადასტურებლად სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ იქნა ერთი მონაწილის სერტიფიკატი. ასევე, აუს-ის სამეცნიერო ანგარიშში მითითებულია, სამეცნიერო ანგარიშში მითითებულია, რომ 2018 წლის იანვარში ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი მასწავლებელთათვის, ასევე ღონისძიება სასტუმრო ,,პარაგრაფში", რომელიც ასავე თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურებოდა, თუმცა არ არის დაზუსტებული ჩატარებული აქტივობის კონკრეტული მიზანი, თემატიკა და შედეგები.

სასწავლებელში ფუნქციონირებს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭრის ცენტრი, რომელმაც უნდა გააძლიეროს პროფესორებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა მეტად დივერსიფიცირებული სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებისა და სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის საგრანტო დაფინანსების სისტემის ფორმირებისა ან გარე დაფინანსების მოძიების კუთხით. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობის მასშტაბი სასწავლებელში ორგანიზებული სამეცნიერ-კვლევითი საქმიანობის შესატყვისია. თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კვლევითი მუშაობისთვის გამოყოფილი თანხები ბიუჯეტის (2018 წლის) 1.5% - 13 050 ლარია, ხოლო სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაზე ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის (2016 წლიდან 4 ნომრის დასაფინანსებლად სასწავლებლის ბიუჯეტიდან სულ გამოყოფილია 11688 ლარი), აუცილებელია სასწავლებელმა განავითაროს გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვების ეფექტიანი სისტემა. საგრანტო დაფინანსების მოძიება და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა სასწავლებელმა უნდა აქციოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად.

სასწავლებელს დოკუმენტაციაში მითითებული აქვს, რომ აკადემიურ სივრცეში მოქმედებს სამეცნიერო პროექტების განხილვისა და დაფინანსების სამართლიანი, საჯარო და გამჭვირვალე პროცედურები, თუმცა სამეცნიერო პროექტის შეფასებისა და დაფინანსების დადგენილი პროცედურული აქტი ან ინფორმაცია სამეცნიერო კონკურსების საჯარო გამოცხადების შესახებ ვერ იქნა დადასტურებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლებლის 2015 წლის თვითშეფასების ანალიზი;
- ბიუჯეტი კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ნაწილში;
- ანგარიშები სამეცნიერო აქტივობების შესახებ
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები;
- მემორანდუმები უცხოურ უსდ-ებთან

რეკომენდაციები:

ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა

- უზრუნველყოს სამეცნიერო პროექტების კონკურსის შესახებ პირობების საჯაროობა;
- შეიმუშაოს ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით უცხოურ კვლევით ცენტრებთან და საქართველოს უსდ-ების თანამშრომლობის პოლიტიკა და პროცედურები.

- უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩაბმა კვლევით პროექტებში კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად.
- გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების/ჩართულობის მასშტაბი და პერიოდულობა სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევის უნარების განმავითარებელ ღონისძიებებში.

რჩევები:

- დაადგინოს სამეცნიერო ნაშრომის, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცედურის მომწესრიგებელი შიდა აქტი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლებელს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები პოლონეთის სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ვარშავის ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტთან, კიევის კროკის უნივერსიტეტთან. ხსენებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით ჩატარებულია (2017 წელს გუდაურში, ქ. ლარნაკაში) საერთაშორისო კონფერენციები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები პროფესორ-მასწავლებლებისათვის. უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით 2016 წლიდან გამოიცემა რეფერირებადი ჟურნალი ,,დიპლომატია და სამართალი“, სადაც წარმოდგენილია სამეცნიერო პუბლიკაციები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას ქართველ მეცნიერებთან ერთად ქმნის უცხოური უნივერსიტეტების წარმომადგენელი მეცნიერები. ჟურნალის საერთაშორისო სტატუსს განაპირობებს ასევე ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. 2016 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულია ჟურნალის 4 ნომერი და აერთიანებს პუბლიკაციებს ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერებათა დარგში. კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იზრუნოს სულ მცირე ჟურნალის google scholar-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებაზე, ხოლო სამომავლოდ უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში პერიოდიკის ჩართვა. აუცილებელია, რომ ჟურნალის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარდა ვებ-გვერდი ასახავდეს გამოქვეყნების მიმართ დადგენილ მოთხოვნებს,

ინფორმაციას რეცენზირების პროცედურის შესახებ და ავტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე სტატიების კონკურსის შესახებ ინფორმაციას სტატიების მიღების დასაწყისისთანავე.

ჟურნალში ქართველი ავტორების პუბლიკაციები არ ავლენს დასავლეთევროპულ ენებზე არსებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ციტირების სათანადო მაჩვენებელს. ქართულენოვან და რუსულენოვან წყაროებთან ერთად მნიშვნელოვანია სასწავლებლის პროფესორები ციტირებდნენ ჟურნალის პროფილურ დარგებში გამოცემულ უახლეს დასავლეთევროპულ ენაზე გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურას, რაც გახდება მნიშვნელოვანი წინაპირობა ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვისა და პროფესორთა ციტირების ინდექსის ზრდისა.

სასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესორთა სამეცნიერო აქტივობის შეფასებისა და წახალისების ეფექტიანი სისტემა, რისთვისაც აუცილებელია დადგენილი იყოს შესაბამისი მარეგულირებელი წესი, რომლის არსებობა სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ვლინდება. სასწავლებელმა უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შიდა საგრანტო სისტემა, რომელიც საგრანტო დაფინანსების მინიჭების ერთგვაროვან კრიტერიუმებსა და საკონკურსო პირობებზე იქნება დამყარებული. ასევე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს კვლევებისათვის გარე დაფინანსების მოპოვების მიზნით პროფესორთა მხარდაჭერის ინსტიტუციური მექანიზმი. სასწავლებელი აფინანსებს პროფესორთა კვლევით პუბლიკაციებს სასწავლებლის საერთაშორისო ჟურნალში, ასევე სახელმძღვანელოების გამოცემას (წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მხარდაჭერილია 4 ნაშრომის გამოქვეყნება), მაგრამ მნიშვნელოვანია გარე სამეცნიერო ფონდებიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით თანადაფინანსების სისტემის ამოქმედება.

სასწავლებელმა უნდა იზრუნოს ასისტენტ-პროფესორების რიცხვის ზრდაზე (ამჟამად მხოლოდ ერთი აფილირებული ასისტენტ-პროფესორი ყავს სასწავლებელს), მათ ჩაბმაზე სამეცნიერო კვლევით პროექტებში. საგრანტო დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია არა მხოლოდ საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებიდან, არამედ ეროვნული სამეცნიერო ფონდებიდანაც (მაგ, რუსთაველის სამეცნიერო ფონდი). სასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია სასწავლებლის მიერ განხორციელებულ ან მიმდინარე სამეცნიერო კვლევით პროექტზე, რომელიც მაგალითად, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ იქნებოდა დაფინანსებული. სასწავლებელში არსებულმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა, ახალგაზრდა მეცნიერთა ტექნიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერა შიდა ან/და გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით სამეცნიერო პროექტების შემუშავების, მათ შესახებ ინფორმაციის აკუმულირებისა და გავრცელების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიუჯეტი კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ნაწილში;
- სამეცნიერო ანგარიშები მე-6 სტანდარტთან მიმართებით.
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები;
- მემორანდუმები უცხოურ უსდ-თან

რეკომენდაციები:

ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა:

*კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით იზრუნოს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციების google scholar-ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებაზე და სამომავლოდ შექმნას პირობები პერიოდული გამოცემის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვის მიზნით.

* უზრუნველყოს სტატიების საკონკურსო პირობების, ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნების მიმართ დადგენილი მოთხოვნების (შინაარსობრივი, ეთიკური), რეცენზირების პროცედურის, ავტორთათვის სახელმძღვანელო პრინციპების საჯაროდ გამოქვეყნება სტატიების მიღების გამოცხადებისთანავე.

* სამეცნიერო ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ჩართვისათვის სათანადო პირობების მომზადების მიზნით, ხელი შეუწყოს სამეცნიერო ჟურნალში ქართველი ავტორების პუბლიკაციებში დასავლეთევროპულ ენებზე არსებული უახლესი ლიტერატურის ციტირების მაჩვენებელის ზრდას, რათა ქართულენოვან და რუსულენოვან წყაროებთან ერთად პროფესორები ციტირებდნენ ჟურნალის პროფილურ დარგებში გამოცემულ უახლეს დასავლეთევროპულ ენაზე ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურას.

* სასწავლებელმა უნდა შექმნას სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმები, რომელიც შიდა საგრანტო დაფინანსების მინიჭების ერთგვაროვან კრიტერიუმებსა და კონკურსის საჯაროობის პრინციპებზე იქნება დამყარებული.

* სასწავლებელში არსებულმა სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გაზარდოს პროფესორ-მასწავლებელთა, ახალგაზრდა მეცნიერთა ტექნიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერა შიდა ან/და გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით სამეცნიერო პროექტების შემუშავების, მათ შესახებ ინფორმაციის აკუმულირებისა და გავრცელების მიმართულებით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლებელს აქვს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტთა სამეცნიერო კვლევის წახალისების პრაქტიკა (მაგ. მივლინებები უცხოეთში, ფინანსური ხასიათის ჯილდოები სტუდენტების კვლევითი აქტივობისთვის), თუმცა აუცილებელია სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთგვაროვანი და მდგრადი ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება აღნიშნულის მარეგულირებელი ერთგვაროვანი აქტის მიღებით და წახალისების განმსაზღვრელი ერთგვაროვანი კრიტერიუმების დადგენით.

სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორებად სასწავლებელმა უნდა განსაზღვროს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა სამეცნიერი პროექტების ინიცირება და ხელმძღვანელობა, მათი ჩაბმა

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, უცხოურ კვლევით ან საგანმანათლებლო ცენტრთან ერთობლივი კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა, გარე საგრანტო დაფინანსების მოპოვება კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით, შიდა სასწავლებლის სამეცნიერო საქმიანობაში, ინოვაციური სწავლების მეთოდების შემოტანა სასწავლო პრაქტიკაში, მულტიდისციპლინური კურსების კურიკულუმების შემუშავება, სასწავლებლის პროფესორთა დარგობრივ-მეთოლოგიური მენტორობა, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზირება-რედაქტირება და ა.შ. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ეფექტიანი სისტემა აუცილებლად უნდა დაეფუძნოს პროფესორ-მასწავლებელთა თვითშეფასებების, ასევე სტუდენტთა გამოკითხვის დეტალიზებული და კონკრეტული კითხვარების ანალიზს. შეფასების კითხვარები ფორმირებული უნდა იყოს დეტალიზებული, კრიტიკული და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული შეკითხვებით. კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები და მათი ანალიზი მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ქმედითი მექანიზმის არსებობა სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ვლიდენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბიუჯეტი კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ნაწილში; • სამეცნიერო ანგარიშები მე-6 სტანდარტთან მიმართებით. • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები.
რეკომენდაციები: **ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა** • უზრუნველყოს სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ერთგვაროვანი კრიტერიუმების და წახალისების მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება შეფასების ინდიკატორებისა და წახალისების ფორმების მარეგულირებელი ერთგვაროვანი აქტის მიღებით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • სასწავლებელი ფუნქციონირებს ორ სასწავლო კორპუსში, რომელიც აღჭურვილია კაბინეტ-ლაბორატორიებით, სალექციო/სასწავლო აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრით, საკონფერენციო დარბაზებით, ბიბლიოთეკით, დამხმარე სათავსოებით, სპორტული სივრცით, საექიმო კაბინეტით და სველი წერტილებით (ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ანგარიში, 04.04.217 წ.) საჯარო რეესტრის ამონაწერებით მტკიცდება რომ სასწავლებელი მფლობელობაში არის ორი შენობა: 1. მისამართი: ქ. თბილისი, ჭყონდელის ქუჩა 26 (საკადასტრო კოდი 01.12.12.006.004), რომლის საიჯარო ფართობი არის 927 კვ.მ. ხელშეკრულება დადებული 2017 წელს და მოქმედებს 2024 წლამდე. შენობა არის 3 სართულიანი და გააჩნია ეზო. 2. მისამართი: ქ. თბილისი, 3 მასივი, 6 კვარტალი, კორპუსი 7ა (საკადასტრო კოდი 01.19.20.030.013), რომლის საიჯარო ფართობი არის 904 კვ.მ. ხელშეკრულება დადებული 2017 წელს და მოქმედებს 2025 წლამდე. შენობა არის 4 სართულიანი და გააჩნია ეზო. წარმოდგენილი დოკუმენტებითა მტკიცდება, რომ შენობებში სათანადოდ უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების სისტემა, როსთვისაც: - შენობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური; - აღჭურვილი არიან კვამლის დეტექტორებით, ცეცლმქრობებით აღჭურვილი სახანძრო სისტემებით; - დამონტაჟებულია ვიდეო თვალთვალის სისტემით; - ფუნქციონირებს პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი; - შემუშავებულია საევაკუაციო გეგმა; - შემუშავებულია სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია.

გარდა ამისა შენობაში დამონტაჟებული გათბობისა და ვენტილაციის სისტემა, რომლის გამართული მუშაობა მოწმდება გარე ტექნიკური აუდიტის მიერ.

წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს, თუ როგორ არის მოწყობილი სასწავლებლის სალექციო/სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, დამხმარე სათავსოები და სპორტული სივრცე. თუმცა თუ ვიხელმძღვანელებთ 2017 წელს განხორციელებულ სტუდენტური კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ანგარიშით (04.04.217 წ.) შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენობები ძირითადად შესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს,

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის #2 ოქმის (20.01.2016), მიხედვით სასწავლებლის განხორციელებული მონიტორინგის დროს ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მეოთხე სართულზე ასვლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ძნელი იქნებოდა და რეკომენდაცია გაეწია დაწესებულების წარმომადგენელს, რათა ლიფტი დაემონტაჟებინათ;
2. მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებას ეზრუნა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესებაზე.

მონიტორინგის ჯგუფის ამოცანას შეადგენდა დაედგინა მოხდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ სასწავლებლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით და თანდართული ფოტოებით (წერილი #32, 17.01.2019) დგინდება, რომ აღნიშნული რეკომენდაციები შესრულებულია, მათ შორის:

1. საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობისათვის გაზრდის მიზნით ორივე სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე განლაგდა სამკითხველო დარბაზი და კომპიუტერული ცენტრი. პირველ სართულზე განლაგდა აგრეთვე სასწავლებლის სასწავლო და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო და სათანადოდ მოეწყო ავტომანქანის სადგომი. დამატებით აუდიტორიები დაინომრა ბრაილის შრიფტის გამოყენებით;
2. ორთავე შენებაში ლიფტის მონტაჟის მიზნით 2019 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით მონიტორინგის ჯგუფი ადასტურებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის #2 (20.01.2016) და #3 (07.04.2017) ოქმებში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულების ფაქტს.

2018 წლის ინვენტარიზაციის ანგარიშით დგინდება, რომ სასწავლებელს გააჩნია სათანადო დონისა და ამჟამად არსებული სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტის რიცხოვნობის შესაბამისი რაოდენობის მატერილური-ტექნიკური ბაზა: კომპიუტერები, პროექტორები, ქსეროქსები, დაფები და სასწავლო და სამუშაო ავეჯი. თუ შევადარებთ სხვა წლებში ჩატარებულ მონიტორინგსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგებს თვალში საცემია მატერილური-ტექნიკური ბაზის მატება. ასე მაგალითად კომპიუტერული კლასები აღჭურვილია კომპიუტერებით და სხვა პერიფერიული მოწყობილობებით და ჩართულია ინტერნეტში. ასე მაგალითად განხორციელებულ სტუდენტური კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ანგარიშით (04.04.217 წ.) დაფიქსირებულია 38 პერსონალური კომპიუტერი, ხოლო წარმოდგენილი ინვენტარიზაციის ანგარიშით კი 74 კომპიუტერი მათ შორის 23 ნოუთბუქი.

მონიტორინგის ჯგუფი აღნიშნავს, რომ სასწავლებელი ათვითცნობიერებს სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსებისა და საგანმანათლებლო და

რეკრეაციული გარემოს სათანადო დონეზე მოწყობის მნიშვნელობას, რამაც ასახვა პოვა სასწავლებლის 7 წლიანი სტრატეგიულ გეგმაში, სადაც გამოყოფილია სტრატეგიული მიზანი 2.1 - მატერიალური რესურსების განვითარება და ჩამოყალიბებულია მთელი რიგი ქვემიზნები რომლებიც მიმართული არის საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებაზე, საგანმანათლებლო გარემოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე და მისი თანამედროვე ტექნიკური ინვენტარით აღჭურვაზე, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესებაზე, სარეკრეაციო სივრცის კეთილმოწყობაზე და სარეზერვო/საევაკუაციო კიბის მოწყობაზე (ქვეამოცანები 2.1.1-2.1.7).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი • დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება • კვამლის დეტექტორები შეძენისა ანგარიშ-ფაქტურები • სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია • ხელშეკრულება საევაკუაციო გეგმის შემუშავების შესახებ • გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი • 2018 წლის ინვენტარიზაციის ოქმი • 2017 წელს განხორციელებულ სტუდენტური კონტინგენტის გაზრდისათვის არსებული გარემოებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასების ანგარიში (04.04.217 წ.) • სასწავლებლის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციით და თანდართული ფოტოებით (წერილი #32, 17.01.2019)
რეკომენდაციები:
რჩევები: • ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სასწავლებელმა სისტემატურად გამოიყენოს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამართულ და ეფექტურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებასა და წინამდებარე წესის განხორციელებას უშუალოდ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი; სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და უზრუნველყოფილია კომპიუტერით, ინტერნეტით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერის აპარატით. ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ცალკე მოცემული არ არის,

თუმცა ინვენტარიზაციის დოკუმენტში ჩანს ერთიან ჩამონათვალში; ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასწავლებლის ყველა სტუდენტს, პროფესორსა და თანამშრომელს;

ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მეტწილად შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) არსებულს. საჭიროა წიგნის მოძიების შესახებ პროცედურის დეტალური აღწერა, რადგან შეიძლება არ იძებნებოდეს ავტორით და იძებნებოდეს სათაურით.

ვებგვერდზე მოცემულია ბიბლიოთეკაში კომპიუტერით სარგებლობის წესი, ქცევის ნორმები და პასუხისმგებლობა. აქვე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ონლაინ ლექსიკონები, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების ბმულები. მათგან OENBIBLIO მოიცავს ძირითადად ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში არსებულ წიგნებს, დანარჩენი სამი კი მხატვრულ ლიტერატურას. სასწავლებელს უნდა ჰქონდეს წვდომა სულ მცირე ერთ ბაზასთან მაინც, რომელიც სამეცნიერო ნაშრომებს მოიცავს იმ დარგებში რა პროგრამებიც სასწავლებელს აქვს.

სასწავლებელს შემუშვებული აქვს დოკუმენტი „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. სადაც მოკლედ მოცემულია წიგნის გატანის წესი. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; თუ დავეყრდნობით დოკუმენტს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები“ ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რთულია მხოლოდ დოკუმენტების საფუძველზე დამაჯერებელი დასკვნის დადება.

სასწავლებელს შემუშვებული აქვს დოკუმენტი «ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები“ სადაც აღნიშნულია რომ ბიბლიოთეკა მჭიდრო კომუნიკაციაშია სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებთან და ბიბლიოთეკის წარმომადგენლები აფასებენ ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საინფორმაციო საჭიროების მოცულობას და რესურსებს. საჭიროა უფრო დეტალურად აღინიშნოს როგორ აფასებენ, რა სიხშირით აახლებენ წიგნად ფონდს და ა.შ. ბიუჯეტში წიგნადი ფონდისთვის გამოყოფილი თანხა ცალკე მოცემული არ არის, კვლევითი მუშაობისთვის გამოყოფილი თანხები აერთიანებს სხვადასხვა ხარჯებს, როგორიც არის წიგნები/ჟურნალების შესყიდვა. შესაბამისად საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფისა და განვითარების დინამიკა არ ჩანს. თუმცა აღსანიშნავია რომ საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაიზარდა 1001 წიგნიდან 2867 ერთეულით.

ბიბლიოთეკაში დასაქმებულია ორი ადამიანი, რომელსაც საბიბლიოთეკო საქმეში გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი, შესაბამისად საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით შეუძლია შესაბამისი კონსულტაციის გაწევა; სასწავლებელს აგრეთვე წარმოდგენილი აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა.

ბიბლიოთეკაში დასაქმებულია ერთი ადამიანი რომელსაც საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, მათ შორის, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით შეუძლია შესაბამისი კონსულტაციის გასაწევად; სასწავლებელს აგრეთვე წარმოდგენილი აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;

ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი არ ეხება ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ საკითხებს, იქნება ეს გამოყენების წესები, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების მოხმარების გაცნობა თუ ტრენინგი თანამშრომლებისთვის ან სტუდენტებისთვის.

არ ჩანს ბიბლიოთეკის მუშაობის საათები, სტანდარტით გაწერილია 60 საათი კვირაში 6 დღე, დოკუმენტში მითითებულია რომ მუშობს 40 საათი კვირაში 5 დღე. ახალი უმაღლესი სასწავლებლის დაკვეთით „გამოყენებითი კვლევების კომპანიის“ (ARC) მიერ სტუდენტების გამოკითხვაში საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩანს რომ მაღალია კმაყოფილება ბიბლიოთეკის პერსონალით. ყველა თანხმდება რომ მოთხოვნის შემთხვევაში დაწესებულება ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე / გამდიდრებაზე. სტუდენტების ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება რომ კარგი იქნება თუ ბიბლიოთეკა აღჭურვილი იქნება პლანშეტური კომპიუტერებით. სასწავლებლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით იგეგმება ბიბლიოთეკის აღჭურვა პლანშეტებით. სასწავლებელი ჩართულია პროექტში ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის და ხელი მიუწვდება რამდენიმე საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე, მოცემულია ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა, სადაც ჩანს რომ გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს რომ რაიმე აქტივობას ახორციელებდეს ამ მიმართულებით, რათა გაიზარდოს სტუდენტების და პერსონალის მიერ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება. სამწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია რომ იგეგმება 2018-2020 წლებისთვის საბიბლიოთეკო სივრცის განახლება და - საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენების პოპულარიზაცია და სტუდენტთა ცნობადობის ამაღლება; (ქვემიზნები 2.1.1 2.1.2) მხოლოდ ტექნიკის შეძენით შემოიფარგლება და ბიბლიოთეკით კმაყოფილების კვლევით რაც საკმარისი არ არის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დოკუმენტი ახალი უმაღლესისასწავლებლის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები • ახალი უმაღლესი სასწავლებლის წიგნადი ფონდი • 2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმა • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტი • ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა • საერთაშორისო ელეტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკასთან • ახალი უმაღლესი სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს რესურსების და მომსახურების შესახებ. • ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და პერსონალის სამუშაოს აღწერილობები
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: • სასურველია სასწავლებელმა დააწესოს ტრენინგის ან სემინარის ფორმატის შეხვედრა, რათა გაზარდოს საერთაშორისო ბაზების და ზოგადად ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის გამოყენების შესახებ ინფორმირებულობა. • სასურველია საბიბლიოთეკო სერვისების განახლება და გაუმჯობესება უფრო პრაქტიკული იყოს და არა თეორიული, საჭიროა წიგნის მოძიების შესახებ პროცედურის დეტალური აღწერა, საინტერესოა როგორ ხდება შეფასება და რა სიხშირით ხდება წიგნადი ფონდის განახლება.

- საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესების და განვითარების დინამიკა მკაფიოდ უნდა ჩანდეს.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლებელს შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი არეგულირებს ახალ უმაღლეს სასწავლებელში ინფორმაციული ტექნოლოგიის მართვის პოლიტიკას, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს სასწავლებლის ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროცესში, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.newuni.edu.ge -ს ადმინისტრირებისა და გამოყენების წესებს. სასწავლებლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებელი ვალდებულია ამ წესის გარდა დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ინტელექტუალური საკუთრების, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოებისა და პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით.

სასწავლებლის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა emis.newuni.edu.ge უზრუნველყოფს სასწავლებლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, არსებული პროცესების მხარდაჭერას, კომუნიკაციას, ინფორმაციის დამუშავებასა და დაცვას. სისტემის ზოგადი ფუნქციები სწორად არის განსაზღვრული: სასწავლებელში სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზაცია და ელექტრონულ საქმის წარმოება. სისტემის მომხმარებლები არიან ადმინისტრაცია, ლექტორები და სტუდენტები.

დოკუმენტში აღნიშულია, რომ უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა). საინტერესოა როგორ ფასდება საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობა. არ ჩანს სტუდენტთა მიერ შეფასება რამდენად მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სტუდენტებისა და პერსონალისათვის. წარმოდგენილი ინვენტარიზაციის ანგარიშით ფიქსირდება 74 კომპიუტერი მათ შორის 23 ნოუთბუქი.

ახალ უმაღლეს სასწავლებელში დანერგილია ელექტრონული სერვისების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს შემდეგ მოდულებს: 1.სასწავლო პროცესი 2.ბიბლიოთეკის სერვისი 3.ელექტრონული საქმის წარმოება 4.საკომუნიკაციო სერვისი.

სასწავლო პროცესის სერვისი ფარავს სტუდენტების რეესტრს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას, სასწავლო კურსებს, სილაბუსებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, ლექტორის, სტუდენტის, ინდივიდუალურ პანელს. სერვისი მოიცავს სხვადასხვა საბეჭდ ფორმებს (ნიშნების ფურცელი, ცნობა, ფორმა 26, უწყისი) სტატისტიკური რეპორტებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სტუდენტს საკუთარ გვერდზე აქვს შესაძლებლობა სრულად გაეცნოს მის საგანმანათლებლო პროგრამას, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარ აკადემიურ შეფასებაზე, ნახოს სასწავლო კურსების სილაბუსები. აღნიშნული სერვისი ასევე მოიცავს აკადემიურ რეგისტრაციას, სტუდენტის აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით სისტემა აძლევს საშუალებას სტუდენტებს თავად დაგეგმონ აკადემიური კალენდარი, დარეგისტრირდნენ სასურველ დროს და სასურველ სასწავლო კურსებზე (რასაც ითვალისწინებს სტუდენტის სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით). სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია პროფესორ/მასწავლებლების რეესტრი სადაც ასახულია პროფესორ/მასწავლებლების პირადი მონაცემები და აკადემიური თანამდებობები. სერვისი აძლევს პროფესორ/მასწავლებლებს შესაძლებლობას სტუდენტებს მისცენ დავალებები ელექტრონულად და აუტვირთონ სხვადასხვა ელექტრონული დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკის სერვისის საშუალებით სასწავლებელში ხდება ელექტრონული და მატერიალური ფონდის კატალოგიზაცია, შესაძლებელია წიგნების გაცემა ბიბლიოთეკის მომხმარებელზე, დავალიანებული (ვადაგადაცილებული) წიგნების აღირცხვა, ელექტრონული წიგნების ატვირთვა, სტუდენტს და პროფესორს აქვს საშუალება საკუთარი გვერდებიდან მიიღონ ინფორმაცია სასწავლებლის ბიბლიოთეკაში არსებული როგორც წიგნად ფონდზე, ასევე ელექტრონულ რესურსზე. ელექტრონული საქმის წარმოება სერვისის საშუალებით სასწავლებელში ხორციელდება დოკუმენტბრუნვა, შემოსული და გასული კორესპოდენციის აღრიცხვა, სხვადასხვა დროს შემოსული კორესპონდენციის მოძიება ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულად დაწერონ სასურველი განცხადება სასწავლებელში მიუსვლელად. საკომუნიკაციო სერვისი აძლევს საშუალებას, ადმინისტრაციას, ლექტორებს და სტუდენტებს ჰქონდეთ კომუნიკაცია ერთმანეთში, გაუგზავნონ სასურველი ელექტრონული მასალები ერთმანეთს.

სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მაგრამ ინგლისურად არ ფუნქციონირებს ზოგიერთი კომპონენტი, მაგალითად აბიტურიენტებისთვის ინფორმაცია, სწავლება პროგრამების კატალოგი და ქართულად არსებული ინფორმაცია სრულად არ დევს მეორე ენაზე. არსებობს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური რომელიც პასუხს აგებს ვებგვერდის ფუნქციონირებაზე. დოკუმენტებში წარმოდგენილია მათი სამუშოს აღწერილობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებგვერდი
- საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლების სამუშაოს აღწერილობები
- ხელშეკრულებები გლობალ ერთთან
- მართვის ელექტრონული დაცვის ხელშეკრულება
- ელექტრონული მართვის სისტემა დოკუმენტი
- ხელშეკრულება ini.ge ჯგუფთან
- ხელშეკრულება გლობალ ერთთან დომენის შესყიდვაზე
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემა

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ქართულ ენაზე არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ინგლისურ ენაზეც (მაგალითად აბიტურიენტებისთვის ინფორმაცია, პროგრამების კატალოგი და ა.შ.)

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლებელს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომელიც ეფუძნება სტუდენტების მიერ სწავლების საფასურის შენატანებს, სასწავლო გრანტებს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა მიერ გაწეული სოციალური დახმარებებს და დამფუძნებლის ფინანსურ მხარდაჭერას. აქედან, წარმოდგენილი დინამიკა მიუთითებს, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში სასწავლებლის შემოსავლების დიდი წილი მოდის მხოლოდ სტუდენტების შენატანებზე (93,26%), ხოლო დამფუძნებლის ფინანსური დახმარება მხოლოდ უზრუნველყოფს სასწავლებლის ფინანსურ სტაბილურობას (2018 ოქტომბრის თვის მდგომარეობით შემოსავლების 1.57%). თვალში საცემია აგრეთვე სასწავლო გრანტების ძალზედ მცირე ოდენობა - გრანტებისა და სოც დახმარებების ჯამური ოდენობა შეადგენს მთელი შემოსავლების 5.15% (წარმოდგენილი ბიუჯეტის ფორმით შეუძლებელია ამ ორი პარამეტრის გამიჯვნა). აღნიშნული გარემოებები მიანიშნებენ, რომ სასწავლებლის მიერ ამჟამად მიღებული შემოსავალები უმეტესწილად საკმარისია მისი სრულფასოვან ოპერირებისათვის, ხოლო ფინანსურ სტაბილურობასა და რისკების ადეკვატურად და ეფექტურად მართვას თავისი ფინანსური შენატანებით უზრუნველყოფს დამფუძნებელი.

2017 და 2018 წლის ფინანსური ანგარიშებით დასტურდება, რომ უსდ-ის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების, კვლევების, სტუდენტური აქტივობების მხარდაჭერა, ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. 2018 წლის 10 თვის

სასწავლებლის ფინანსური ხარჯების ოდენობა ანალოგიურია 2017 წლისა და მისი სტრუქტურა შემდეგია (სულ: 614,054.87 ლარი): ხელფასი/დივიდენდი 56.52%, იჯარა და სხვა გადასახადები 21.08%, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება და სამეურნეო ხარჯები 10.29%, სტუდენტური აქტივობების, კვლევისა და პერსონალის კვალიფიკაციაზე მიმართული ხარჯები 9.24%, სარეკლამო ხარჯები 2.88%.

სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების ფორმა ნაკლებად ინფორმაციულია. ერთი „ქუდის" ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა ტიპის ხარჯვითი მუხლები, ასე მაგალითად: კვლევითი მუშაობისთვის გამოყოფილი თანხები აერთიანებს ისეთ მრავალფეროვან ხარჯებს როგორც არის წიგნები/ჟურნალების შესყიდვა, აგრეთვე გარე შეფასებების, სტატიებსა და აკრედიტაცია/ავტორიზაციაზე მიმართულ ხარჯებს.

უსდ-ში არსებობს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მიზნების მიღწევისას რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენება. ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმაც, სადაც გაწერილი ფინანსურ-ადმინისტრაციული რისკები და მათი შეფასებისა და პრევენციის მეთოდები.

ფინანსური რესურსების მართვის საკითხებს არეგულირებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი. იგი თავისი შინაარსით, არის სასწავლებელში ფინანსური მართვისა და კონტროლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და ეხება სასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ საკითხებს. ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროს წარმოადგენს ბიუჯეტის შემუშავება და შესრულების კონტროლი, უფლებამოსილების დელეგირება, მენეჯერული ანგარიშვალდებულება და რისკის მართვა, კონტროლის ღონისძიებები და სხვა. დოკუმენტში მოყვანილია ყოველი კომპონენტის განსაზღვრება, მიზნები და მმართველობითი მიდგომები, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

თუმცა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი არ შეიცავს კონკრეტულ პროცედურებსა ან/და წესებს, რომლითაც ხორცილდება სასწავლებლის ფინანსური მართვა და მენეჯერული კონტროლი. ვერც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა, ვერც ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესითა და ვერც ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით ვერ დასტურდება, რომ სასწავლებელი მიმართავს უფლებამოსილ აუდიტორს ანდა აუდიტორული ფირმას ფინანსური აუდიტის ჩატარების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის დადასტურება.

წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებს სასწავლებლის მართვის ცენტრალიზებულ სისტემის არსებობაზე, რაც ამჟამად, მცირე სტუდენტური კონტინგენტის პირობებში, არ წარმოადგენს დიდი რისკის შემცვლელ გარემოებას. თუმცა, კონტინგენტის ზრდასთან ერთად, უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძლებს ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობა, რისი ერთ-ერთი გზა ფინანსური დეცენტრალიზაცია წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესი
- ფინანსური ანგარიში
- ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ
- დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

• განხორციელდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების წესის გადახედვა და გაუმჯობესება, შემუშავდეს ამ წესში არსებული პოლიტიკის შესაბამისი პროცედურები. • შემუშავდეს სასწავლებლის ბიუჯეტის ახალი სტრუქტურა და შემუშავების პროცედურები.
რჩევები: • დაფინასების სისტემა ძალზედ დამოკიდებულია სტუდენტების შენატანებზე, ამიტომ ფინანსური სტაბილურების გაზრდის მიზნით სასწავლებელმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო გრანტის მფლობელ სტუდენტური კონტინგენტის მოზიდვაზე და შენარჩუნებაზე. • სასურველია რომ განხორციელდეს ფინანსური დეცენტრალიზაცია. საწვალებლის ბიუჯეტის ფორმირება მოხდეს პროგრამული სახით, სადაც ყველა საქმიანობა იქნება გაფორმებული როგორც დამოუკიდებელი პროგრამა თავსის ფინანსებით, მიზნებით, და შეფასების კრიტერიუმებით
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	**ECTS**	**პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)**	**შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	2014 წლის 10 იანვარი, N7
2	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	აკრედიტებული	2014 წლის 10 იანვარი, N8
3	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში	240	აკრედიტებული	2014 წლის 1 ივლისი, N146